

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“**ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ**”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების
ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის
უფროსი

 **ზურაბ ბუცხრიკიძე**

„12 „12“ 2013 წელი

ვგზ. № 2

კასპის მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის შესაბამისობის

აუდიტის ანგარიში **N 62/00**

01.01.2010 - 01.06.2013

2013 წელი

შინაარსი

აუდიტის ძირითადი მიზანი -----	3
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა -----	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა -----	3
მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა -----	4
პირობითი მოსაზრების საფუძვლები -----	10
შესყიდვებისა და ხელშეკრულების შესრულებისას გამოვლენილი დარღვევები: -----	10
<i>ქ. კასპში სააკაძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები -----</i>	<i>10</i>
<i>სტიქიის სალიკვიდაციოდ განხორციელებული ღონისძიებები -----</i>	<i>17</i>
<i>შიდასახელმწიფოებრივი გზის რეაბილიტაცია (შპს „ავტობანი“) -----</i>	<i>20</i>
<i>შპს „ნიკუშა +“-ის მიერ შესრულებული სამუშაოები -----</i>	<i>23</i>
<i>შპს „ნდს მშენებლის“ მიერ შესრულებული სამუშაოები -----</i>	<i>27</i>
<i>შპს MSHEN-GROUP- ის („მშენ-გროუფ“) მიერ შესრულებული სამუშაოები -----</i>	<i>32</i>
<i>სამშენებლო სამუშაოებზე ფაქტობრივად გაწეული ხარჯები -----</i>	<i>33</i>
<i>შპს-ის დაფუძნება, დაფინანსება, შესრულებული სამუშაოები და მასზე კონტროლი -----</i>	<i>36</i>
სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა -----	39
არასათანადოდ დასაბუთებული ხარჯები -----	39
<i>სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მორწყვის ღონისძიებები: -----</i>	<i>39</i>
<i>შპს „ლებეს“ მიერ შესრულებული გადახურვითი სამუშაო -----</i>	<i>43</i>
<i>2012 წელს მომხდარი სტიქია -----</i>	<i>44</i>
აღრიცხვა - ანგარიშგების ნაკლოვანებები: -----	45
<i>მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ შესრულებული და აღურიცხავი სამუშაოები -----</i>	<i>45</i>
<i>შეძენილი მასალების ხარჯვა და აღრიცხვა -----</i>	<i>46</i>
<i>ხანდაზმული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები -----</i>	<i>47</i>
<i>გაცემული პრემიები -----</i>	<i>47</i>
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ -----	49
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი -----	49
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----	49

აუდიტის ძირითადი მიზანი

აუდიტის მიზანია:

- ✓ დასკვნის გაცემა კასპის მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობაზე.

აუდიტის დასკვნაში ასევე აისახა:

- მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა - საქმიანობის წარმართვა, რესურსების გამოყენება, ანგარიშგებისა და ანგარიშვალდებულების მოთხოვნათა დაცვა მოქმედი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად.
- მართლზომიერი ხარჯვა - საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურად და პროდუქტიულად ხარჯვის ვალდებულების დაცვა.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, ორგანიზაციაში ისეთი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა და ზედამხედველობა, რომ კასპის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებს. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კასპის მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის ნორმების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს

გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა კასპის მუნიციპალიტეტის საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

მუნიციპალიტეტი თავის საქმიანობას ახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით, არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და მიმდინარე ბიუჯეტის საშუალებით. მისი დამოუკიდებლობა საბიუჯეტო საქმიანობაში გარანტირებულია საკუთარი შემოსულობებით, მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაცემული გათანაბრებითი ტრანსფერით

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- საბიუჯეტო პროცესის განხორციელება;
- ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, განაკვეთების განსაზღვრა და ამოღება;
- მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- და სხვა.


კასპის მუნიციპალიტეტის ფართობია 802 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა 2012 წლის მონაცემებით შეადგენს 48 ათას კაცს. მუნიციპალიტეტი შედგება ქ.კასპისა და 71 სოფლისგან, რომლებიც გაერთიანებულია 16 თემში.

მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულია და ფუნქციონირებს 6 ა(ა)იპ და 2 - შპს.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შემოსულობების ნაწილში შეადგინა: 2010 წელს - 7 000,6 ათასი ლარი; 2011 წელს - 8 746,8 ათასი ლარი; 2012 წელს - 12 227,0 ათასი ლარი; 2013 წლის 5 თვეში - 2 017,4 ათასი ლარი. აქედან, შემოსავლები და არაფინანსური აქტივების კლება წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

(ათასი ლარი)				
დასახელება	2010 წელი	2011 წელი	2012 წელი	2013 წელი (5თვე)
შემოსავლები	6880,1	8641,5	11765,1	2008,1
გადასახადები	1962,2	1751,4	1726,2	78,5
გრანტები	4379,4	6224,2	9199,0	1509,1
სხვა შემოსავლები	538,5	665,9	839,9	420,5
არაფინანსური აქტივების კლება	120,5	105,3	461,9	9,3

მუნიციპალიტეტის შემოსავლების ძირითადი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ტრანსფერები, რაც მთლიანი შემოსავლების დაახლოებით 65-75%-ს შეადგენს. გამოყოფილი ტრანსფერებიდან სპეციალურ ტრანსფერზე მოდის 57%, გათანაბრებით ტრანსფერზე - 41% და მიზნობრივ ტრანსფერზე - 2%.



კასპის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სპეციალური ტრანსფერის სახით 2010 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 ივნისამდე სულ მიღებული აქვს 12 070,1 ათასი ლარი, აქედან: საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან - 730 ათასი ლარი; საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან - 719,2 ათასი ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტში არსებული რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან - 10 620,9 ათასი ლარი. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების აღნიშნული ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამებზე“ მიმართულია 2 520,5 ათასი ლარი, მგფ-ში თანადაფინანსებაზე - 324,9 ათასი ლარი, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ - 621,2 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენი თანხებით მუნიციპალიტეტში გახორციელებულია სხვადასხვა პროექტები.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული სპეციალური ტრანსფერი, შესყიდვებისას წარმოქმნილი ეკონომიისა და სხვადასხვა მიზეზების გამო, სრულად არ არის ათვისებული და აუდიტის მიმდინარეობისას ნაშთად ირიცხება 336,2 ათასი ლარი. აქედან, 2010 წელს მიღებული სპეციალური ტრანსფერიდან 18,2 ათასი ლარი, 2011 წელს -3,2 ათასი ლარი, 2012 წელს -314,8 ათასი ლარი. სპეციალური ტრანსფერების ათვისებული თანხების შესახებ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ინფორმირებული არ არის. აღნიშნული თანხების შემდგომი განკარგვის საკითხი საჭიროებს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებას.


გადასახდელების ნაწილში, კასპის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა: 2010 წელს - 6 392,8 ათასი ლარი; 2011 წელს - 7 342,0 ათასი ლარი; 2012 წელს - 11 865,4 ათასი ლარი; 2013 წლის 5 თვეში - 3 280,3 ათასი ლარი¹. მუნიციპალიტეტის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრების ნაშთები შეადგენდა: 2011 წლის 1 იანვრისათვის 968,4 ათას ლარს; 2012 წლის 1 იანვრისათვის 2373,5 ათას ლარს; 2013 წლის 1 იანვრისათვის 2735,1 ათას ლარს.


ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის დინამიკა წარმოდგენილია შემდეგი მაჩვენებლებით:

¹ ანგარიშზე შესაბამისი პერიოდისათვის არსებული ფულადი სახსრები.

(ათასი ლარი)				
დასახელება	2010 წელი	2011 წელი	2012 წელი	2013 წელის 5 თვე
ხარჯები	3107,4	5857,6	5800,3	2985,8
შრომის ანაზღაურება	840,3	1052,2	1439,6	887,9
საქონელი და მომსახურება	686,8	957,7	1358,1	371,2
სუბსიდიები	1362,5	1670,5	1898,5	1042,2
გრანტები	0	1800	0	0
სოც.უზრუნველყოფა	17,5	40,5	543,2	143,3
სხვა ხარჯები	200	336,7	560,9	541,2
არაფინანსური აქტივების ზრდა	3274,6	1483,0	6063,7	294,5

2010-2012 წლებში ბიუჯეტების დანახარჯების დინამიკა ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით, ასეთია:





ბიუჯეტის მთლიანი ხარჯების 30-50% მოდის ეკონომიკურ საქმიანობაზე, რომელიც მოიცავს გზების სარეაბილიტაციო, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამას“ და სხვა სამუშაოებს. საერთო დანიშნულების მომსახურება, რომელიც შედგება გამგეობისა და საკრებულოს ხარჯებისაგან, შეადგენს 20-30%-ს, დასვენება და კულტურა კი - 8-11%-ს

მუნიციპალიტეტში განხორციელებული შესყიდვები

კასპის მუნიციპალიტეტის მიერ 2010 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 ივნისამდე, ბიუჯეტით გათვალისწინებული სხვადასხვა პროგრამისა და ღონისძიებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების შესყიდვა განხორციელდა 36 ტენდერის (ელ.ტენდერი, კონსოლიდირებული ტენდერი), 89 გამარტივებული ელ. ტენდერის (ფასთა კოტირების) და 527 გამარტივებული შესყიდვის (ერთ პირთან მოლაპარაკების) გზით.

(ათასი ლარი)

პერიოდი	გამარტივებული შესყიდვა(ეკმ)		გამარტივებულ ი ელ.ტენდერი (ფასთა კოტირება)		ელ-ტენდერი (ტენდერი)		ტენდერი (კონსოლიდირ ებული ტენდერი)		სულ	
	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა
2010	230	2 537,3	4	303,5	3	1 417,7	0	0	237	4258,5
2011	119	832,1	34	603,7	14	2 609,1	0	0	167	4 044,9
2012	135	3 823,9	37	888,0	13	4 281,5	1	167,6	186	9 161,0
2013-5 თვე	43	901,7	14	324,5	1	209,6	4	106,1	62	1 541,9
სულ	527	8 095,0	89	2 119,7	31	8517,9	5	273,7	649	19006,3

2010-2012 წლებში ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით (გამარტივებული შესყიდვა) განხორციელებული შესყიდვები ძირითადად მოდის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულ („სოფლის მხარდაჭერის პროგრამისათვის“, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან) სახსრებზე.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

შესყიდვებისა და ხელშეკრულების შესრულებისას გამოვლენილი დარღვევები:

ქ. კასპში სააკადის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის №55 განკარგულებით, კასპის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 250,0 ათასი ლარი სააკადის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის. სამუშაოების შესასრულებლად საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილია შპს „გეოს“ მიერ, რომლის მიხედვითაც, სააკადის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების II ეტაპის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენდა 1 250,0 ათას ლარს.

კასპის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის 9 მარტს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (SPA120008048) სააკადის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე (CPV კოდი 45200000), რომლის შესყიდვის სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 1 250 ათასი ლარი. ტენდერის ტექნიკურ დავალებაში აღნიშნული შესასრულებელი სამუშაოების ნაწილი არ შეესაბამება საპროექტოს მიერ შედგენილ ხარჯთაღრიცხვას, კერძოდ: შპს „გეოს“ მიერ მომზადებული ხარჯთაღრიცხვიდან ამოკლებულია გოფირებული მილების ჩასადებად 3 116 კუბ.მ გრუნტის მოჭრის, დატვირთვისა და ტრანსპორტირების სამუშაოები, რომელთა ღირებულება 33,7 ათას ლარს, ხოლო დარიცხვების გათვალისწინებით - 46,8 ათას ლარს შეადგენს. მიუხედავად იმისა, რომ სხვაობებია საპროექტო ორგანიზაციის მიერ შედგენილ და ტენდერზე გამოყენებულ ხარჯთაღრიცხვებს შორის, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება დარჩა უცვლელი და განისაზღვრა 1 250 ათასი ლარით.

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა: შპს „ლებემ“ და შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1-მა“. სამუშაოს მიწოდების ფასი შპს „ლებემ“ მიუთითა 1085,0 ათასი ლარი, ხოლო შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1-მა“ – 1 104,0 ათასი ლარი. პრეტენდენტებმა მიწოდების ფასზე ერთმანეთში აღარ

ივაჭრეს და საბოლოო შეთავაზებები დარჩა უცვლელი. სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ლებე“.

სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, პრეტენდენტს აუცილებლად უნდა ჰქონოდა ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილება. შპს „ლებეს“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, პრეტენდენტს შესრულებული აქვს შემდეგი სამუშაოები: 1. სარწყავი არხების აღდგენა-გაწმენდა (141,9 ათასი ლარი); 2. შენობებზე ჩატარებული სხვადასხვა სახის რემონტი (350,8 ათასი ლარი); 3. სოფლის სამანქანე ხიდის მოწყობა-გაფართოება (24,4 ათასი ლარი); ასევე, გამოცდილებაში მითითებული აქვს ქ.კასპში სააკადის ქუჩის რეაბილიტაციის I ეტაპის მიმდინარე სამუშაოები, რაც სატენდერო კომისიას არ უნდა გაეთვალისწინებინა, რადგან სამუშაოები ამ ობიექტზე დასრულდა 30 მაისს, ხოლო გამოცხადებულ ტენდერზე წინადადებების მიღების ვადად განსაზღვრული იყო 2 აპრილი.

ტენდერზე არსებული მოთხოვნის, „ანალოგიური სამუშაოების“ განმარტებას სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობა არ იცნობს. მარეგულირებელი ნორმები ითვალისწინებს „ერთგვაროვან სამუშაოებს“. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის №7 ბრძანების შესაბამისად, თუ შესასყიდი სამუშაოს 8-ნიშნა კოდის პირველი სამი ციფრი არის იდენტური, აღნიშნული ობიექტები ერთგვაროვანია.

კასპის მუნიციპალიტეტის მიერ სააკადის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოების ტენდერზე არსებული მოთხოვნა - „ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების შესახებ“ თუ გაიგივებულია კანონმდებლობის შესაბამისად, „ერთგვაროვანი სამუშაოს შესრულების გამოცდილებასთან“, ასეთ შემთხვევაში შპს „ლებეს“ გამოცდილება აკმაყოფილებდა სატენდერო მოთხოვნას.

თუმცა, არსებობს იმ მოსაზრების საფუძველი, რომ შპს „ლებე“ ვერ აკმაყოფილებდა ტენდერის მოთხოვნებს და ის გამარჯვებულად არ უნდა გამოცხადებულიყო. კერძოდ: ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილების მოთხოვნა ტენდერზე სავარაუდოდ აუცილებელი გახდა სამუშაოებიდან გამომდინარე, რადგანაც გზის რეაბილიტაცია (გზის ქვიშახრეშოვანი საფუძვლის მოწყობა, ასფალტის

საფარის მოწყობა) წარმოადგენს სპეციფიკურ სამუშაოს და ყველა დაინტერესებული პრეტენდენტი ვერ უზრუნველყოფდა შესრულებას, შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და გამოცდილების გარეშე. შპს „ლებეს“ გამოცდილება, რომელიც მოიცავდა სარწყავი არხების აღდგენა-გაწმენდას, შენობების სხვადასხვა სახის რემონტს და სოფლის სამანქანო ხიდის მოწყობა-გაფართოებას, ვერ უზრუნველყოფდა იმის გარანტიას, რომ პრეტენდენტი რეალურად შეძლებდა სამუშაოების შესრულებას. შესაბამისად, სატენდერო კომისიას სათანადო გამოცდილების არქონის გამო, შეეძლო მოეხდინა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია. წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, მოსაზრებას შპს „ლებეს“ ტენდერის ჩატარებისას გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების სრულად შესრულება რომ არ შეეძლო, ის ფაქტიც ადასტურებს, რომ მან სპეციფიკურ სამუშაოებზე (ძველი ასფალტ - ბეტონის საფუძვლის მოჭრა - დატვირთვა - გატანა, მათ ნაცვლად ქვიშა-ხრეშისა და ღორღის შემოტანა - მოსწორება, ასფალტის საფარის მოწყობა და სხვ.) ტენდერში გამარჯვების შემდეგ, ხელშეკრულება გააფორმა შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1-თან“, რომელიც ტენდერზე მისი კონკურენტი იყო. სახელშეკრულებო ღირებულებამ 432,7 ათასი ლარი შეადგინა (სამუშაოების მთლიანი ღირებულების 40%).

აღსანიშნავია, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას 45200000 კოდის ნაცვლად, ტენდერი უნდა გამოეცხადებინა უფრო კონკრეტული - 45230000 კოდით მაინც, რადგან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის, მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სატენდერო განცხადებაში უნდა მიეთითოს „შესყიდვის კონკრეტული შესაძლო ყველაზე დეტალური ობიექტი და მისი შესაბამისი CPV კოდი“. აღნიშნულ ტენდერზე დეტალური ობიექტი იყო - „სამშენებლო სამუშაოები მილსადენების, საკომუნიკაციო და ელექტროხაზების, გზატკეცილების, გზების, აეროდრომებისა და სარკინიგზო ხაზებისთვის; ბეტონის ბრტყელი კონსტრუქციებისთვის“. სწორედ აღნიშნული დასახელებით უნდა გამოცხადებულიყო

ტენდერი და მითითებულიყო მისი შესაბამისი CPV კოდი 45230000. აღნიშნულ კოდში გაერთიანებული სამუშაოების შესრულების გამოცდილება შპს „ლებეს“ არ გააჩნდა.

შპს „ლებეს“ შესაძლო დისკვალიფიკაციის საკითხი, შესაბამისი ორგანოების მხრიდან საჭიროებს სამართლებრივი კუთხით დამატებით შესწავლას.

2012 წლის 24 აპრილს, შპს „ლებეს“ დირექტორ, ბესიკ იორდანაშვილსა და კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარეს, დავით მესროფაშვილს შორის გაფორმდა №92 ხელშეკრულება, სააკადის ქუჩის რეაბილიტაციის II ეტაპის სამუშაოებზე. სახელშეკრულებო ღირებულებამ 1 085,0 ათასი ლარი შეადგინა. ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა იმავე წლის 20 აგვისტო.

2012 წლის 14 აგვისტოს, კასპის მუნიციპალიტეტსა და შპს „ლებეს“ პირველი შეთანხმებით, ხელშეკრულების შესრულების ვადად 20 აგვისტოს ნაცვლად განისაზღვრა 17 სექტემბერი. ვადის გადაწევის საფუძვლად მითითებულია, რომ მიმწოდებელი ვერ ახერხებდა სანიაღვრე არხისათვის რკინიგზის ქვეშ 27 გრძ.მ-ზე გვირაბის გაყვანას (5,4 ათასი ლარის სამუშაოს ღირებულება შეადგენდა მთლიანის 0,5%-ს), რადგან ასეთი სპეცსამუშაოების შემსრულებელი ორგანიზაცია მუშაობდა სხვა ობიექტზე და თვის ბოლომდე ვერ დაიწყებდა ამ სამუშაოებს. რადგან რკინიგზის ქვეშ გვირაბის გაყვანას სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვა ითვალისწინებდა, მიმწოდებელი ვალდებული იყო დროული და სათანადო ღონისძიებები განეხორციელებინა მის შეუფერხებლად შესასრულებლად, ამიტომ შემსყიდველ მხარეს არ უნდა გაეთვალისწინებინა აღნიშნული გარემოება და არ უნდა დათანხმებოდნენ სამუშაოების დასრულების ვადის გაზრდას, მით უმეტეს, 14 აგვისტოსათვის მიმწოდებელს შესრულებული და ჩაბარებული ჰქონდა მხოლოდ 369,9 ათასი ლარის სამუშაოები (მთლიანი ღირებულების მხოლოდ 34%). 2012 წლის 17 სექტემბერს, მეორე შეთანხმების მიხედვით, სამუშაოების მიწოდების ვადა გადაიწია 3 ოქტომბრამდე. მიზეზად დასახელებულია, რომ მიწისქვეშა მკვრივი ქანების გამო გაჭიანურდა გვირაბის გაყვანა და მასთან დაკავშირებული საქმიანობა. შემსყიდველს არც ამ შემთხვევაში უნდა გაეთვალისწინებინა აღნიშნული გარემოება. 17 სექტემბრისათვის შპს „ლებეს“ მიერ

შესრულებული და მიწოდებული იყო მხოლოდ 548,3 ათასი ლარის სამუშაოები (მთლიანი ღირებულების 50%). საჯარიმო სანქციის (21,7 ათასი ლარი²) გავრცელების ნაცვლად, შემსყიდველი დათანხმდა სამუშაოების დასრულების ვადის გაზრდას, რითაც უგულვებელყო ხელშეკრულების მე-11 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესრულება. 2012 წლის 2 ოქტომბერს, მესამე შეთანხმებით, მიწოდების ვადამ კვლავ გადაიწია და განისაზღვრა 31 ოქტომბრით. ამჯერად მიზეზად დასახელებულია, რომ მიმწოდებელმა ვერ შეძლო დ-1000 მმ-იანი რკინა-ბეტონის მეორეული მილების შეძენა. ვინაიდან ამ სამუშაოებსაც სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვა ითვალისწინებდა, ამიტომ შემსყიდველს არც ეს გარემოება უნდა გაეთვალისწინებინა. მით უმეტეს, 2 ოქტომბრისათვის შპს „ლემეს“ მიერ შესრულებული და მიწოდებული სამუშაოების ღირებულება არ გაზრდილა. 2012 წლის 2 ოქტომბრისათვის საჯარიმო თანხის ოდენობა იქნებოდა 32,6 ათასი ლარი³, რაც ხელშეკრულების ჯამური ღირებულების ზუსტად 3%-ია. ხელშეკრულების მე-11.2 პუნქტის მიხედვით კი, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ჯამური ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება ჰქონდა შეეწყვიტა ხელშეკრულება და მე-8.2 პუნქტის შესაბამისად, მოეთხოვა ზარალის ანაზღაურება.

მიმწოდებლის მიერ მოყვანილი არგუმენტები, სამუშაოს დასრულების ვადების სამჯერ გადაწევის შესახებ იყო დაუსაბუთებელი და მიზნად ისახავდა საჯარიმო სანქციებისაგან თავის არიდებას. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ეს სამუშაოები წარმოადგენდა ობიექტის დამამთავრებელ ეტაპს და ისინი არანაირად არ უშლიდა ხელს სხვა დარჩენილი სამუშაოების დროულად დასრულებას. შემსყიდველს ასეთ შემთხვევაში უნდა გამოეყენებინა კანონმდებლობით მინიჭებული უფლება და დაეჯარიმებინა მიმწოდებელი 2012 წლის 20 აგვისტოდან 9 ოქტომბრამდე მაინც, ანუ სანამ შპს „ლემეს“ მიმართავდა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ დასრულებულ სამუშაოებზე საბოლოო ექსპერტიზისთვის. ამ შემთხვევაში კასპის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი დამატებით მიიღებდა 38 ათასი ლარის შემოსავალს.

² სახელშეკრულებო ღირებულება 1085 ათასი ლარი X 4 (კვირა) X 0.5%

³ სახელშეკრულებო ღირებულება 1085 ათასი ლარი X 6 (კვირა) X 0.5%.

გარდა ამისა, არსებობს სხვადასხვა გარემოება, რომელიც მიანიშნებს, რომ შპს „ლებემ“ შესაძლოა სამუშაოები დაასრულა 9 ოქტომბრის შემდეგ. კერძოდ: კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შპს „ლებეს“ შორის საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია 2012 წლის 31 ოქტომბერს. ამ შემთხვევაში მიმწოდებელს უნდა დარიცხოდა საჯარიმო სანქცია - 54,2 ათასი ლარის ოდენობით⁴.

ხელშეკრულების პირობების შესრულებასა და შესრულებული სამუშაოს ხარისხის კონტროლს ახორციელებდა შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი. ამ ჯგუფს აღნიშნული სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებით, გამგებლის სახელზე ბოლო მოხსენებითი ბარათი შედგენილი აქვს 2012 წლის 19 ნოემბერს, ანუ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. აგრეთვე, შპს „ლებეს“ მიერ შესრულებულ სამუშაოებზე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ ექსპერტიზის საბოლოო დასკვნა გაცემულია 2012 წლის 21 ნოემბერს.

საბოლოო ანგარიშსწორებისათვის გამგეობას შპს „ლებემ“ მიმართა 31 ოქტომბერს (წერილი №36), რომელზეც თანხის გადარიცხვასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის გამგებელი რეზოლუციას ადებს 2012 წლის 22 ნოემბერს. გამგეობაში ამ წერილის შემოსვლის თარიღი ვერ დადგინდა, რადგან გატარებული არ არის რეგისტრაციაში.

შპს „ლებეს“ მიერ სამუშაოების დასრულების რეალური თარიღის დასადგენად, საჭიროა საკითხი სათანადო ორგანოებმა დამატებით შეისწავლონ, რის საფუძველზეც საჯარიმო სანქცია შესაძლებელია გაიზარდოს.

კანონმდებლობის მოთხოვნების უგულებელყოფის ფაქტი გამოვლინდა ასევე ხარჯთაღრიცხვებთან დაკავშირებით. კერძოდ: ხარჯთაღრიცხვა, რომელიც შედის ტექნიკურ დოკუმენტაციაში, ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში კორექტირებული ხარჯთაღრიცხვები ატვირთული არ არის. აგრეთვე, არ აუტვირთავთ ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებების საფუძვლები, კერძოდ, შპს

⁴ სახელშეკრულებო ღირებულება 1085 ათასი ლარი X 10 (კვირა) X 0.5%.

„ლებეს“ მიერ გამგეობაზე მიწერილი წერილები ვადის გადაწევასთან დაკავშირებით. აღნიშნულის გამო დარღვეულია სახელწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის მოთხოვნები.

სამუშაოების დასრულების ვადების დაუსაბუთებლად გაზრდის შემთხვევები, რომელიც წარმოადგენდა ობიექტის დამამთავრებელ ეტაპს და ხელს არ უშლიდა სხვა დანარჩენი სამუშაოების დროულად დასრულებას, მიუთითებს კასპის მუნიციპალიტეტის მოხელეების ტენდენციურობასა და მიკერძოებულობაზე, რაც შეიძლება იმ ფაქტორითაც იყოს განპირობებული, რომ 2012 წლის 7 მარტიდან 2013 წლის 8 მაისამდე შპს „ლებეს“ წილის 50%-ის ფლობელი გახდა ლევან დემეტრაშვილი, რომელიც ამავე პერიოდში იყო კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვის, განათლების, სპორტის, კულტურის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე. თუმცა, აღნიშნული ფაქტის შესწავლა და შეფასება შესაძლებელია სათანადო კომპეტენციის ორგანოთა ძალისხმევით.

არ არის გამორიცხული, რომ ტენდერის მიმდინარეობისას დამატებით კანონმდებლობის დარღვევის სხვა ფაქტიც იყო, რაზეც მიანიშნებს კონკრეტული შემთხვევა, კერძოდ: ქ. კასპში, სააკაძის ქუჩის რეაბილიტაციის I ეტაპის სამუშაოებს,⁵ კასპის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების⁶ შესაბამისად, ახორციელებდა შპს „ლებე“. მიმწოდებელი სამუშაოების ნაწილს (37%) ასრულებდა ქვეკონტრაქტორის - შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“ საშუალებით. აღნიშნული დასტურდება შპს „ლებესა“ და შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით⁷. სამუშაოები დასრულდა 2012 წლის 30 მაისს. შესაბამისად 2012 წლის 9 მარტს გამოცხადებული ტენდერის დროს, პრეტენდენტები შპს „ლებე“ და შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №1“ პარტნიორები იყვნენ სხვა სამუშაოებზე და შესაძლებელია ამ ორი კომპანიის წარმომადგენლებს ჰქონოდათ

⁵ გზის სრული რეაბილიტაცია (ასფალტი, სანიაღვრე არხები, საფეხმავლოები).

⁶ ეკმ №40; 31.01.2012; სახელშეკრულებო ღირებულება - 272 200 ლარი.

⁷ უნომრო, 06.03.2012; სახელშეკრულებო ღირებულება - 100 790.31 ლარი.

ფარული შეთანხმება (მოლაპარაკება) „სატენდერო წინადადების ფასზე“. ფაქტის მოხდენის ალბათობას ზრდის ის გარემოებაც, რომ ტენდერის მიმდინარეობისას, მიწოდების ფასზე პრეტენდენტებმა აღარ ივაჭრეს და საბოლოო ფასი დარჩა უცვლელი. აღნიშნული შემთხვევა შესაძლებელია ეწინააღმდეგებოდეს „აფიდავიტის“⁸ პირობებს (მოთხოვნებს) და საკითხი შესაბამისი ორგანოების მიერ დამატებით შესწავლას საჭიროებს.

აუდიტის მსვლელობისას, ქ. კასპში, სააკაძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის შესწავლისას გამოკვეთილი რისკის შემცველი ფაქტები (გარემოებები), საკითხის სამართლებრივი შესწავლის მიზნით, გადაეგზავნა სამრთალდამცავ ორგანოს⁹.

სტიქიის სალიკვიდაციოდ განხორციელებული ღონისძიებები

კასპის მუნიციპალიტეტში 2013 წლის 24 მარტს მომხდარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის დადგენის მიზნით, საკრებულოს თავმჯდომარის №177 ბრძანებით, 25 მარტს შეიქმნა კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ საკრებულოსა და გამგეობის თანამშრომლები, ხოლო კომისიის თავმჯდომარეობა და კომისიის მუშაობაზე პასუხისმგებლობა დაევა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს. სტიქიისაგან დაზარალებულთა განცხადებების მიღება-რეგისტრაცია მოხდა გამგეობის კანცელარიაში.

28 მარტს, კომისიის თავმჯდომარეს გამგეობიდან განსახილველად გადაეგზავნა¹⁰ დაზარალებულ მოქალაქეთა კანცელარიაში რეგისტრირებული 369 განცხადება. კომისიის მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ კომისიამ შეამოწმა 369 საცხოვრებელი შენობის დაზიანებული სახურავი, სადაც ზარალის სავარაუდო თანხამ შეადგინა 805,0 ათასი ლარი. ვერ დადგინდა, როგორ იქნა დათვლილი სტიქიის მიერ მიყენებული ზარალი, რომელმაც მოქალაქემ რა რაოდენობის თანხის ზარალი მიიღო,

⁸ რომელიც ორივე ორგანიზაციას აქვს ატვირთული და დამოწმებული.

⁹ შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტი) საგამომძიებლო მთავარი სამმართველოს რეგიონალური სამმართველოს 2013 წლის 11 სექტემბრის N35/20 წერილი.

¹⁰ №2/-554 წერილი.

აღნიშნულთან დაკავშირებით შედგენილი რაიმე დოკუმენტი ვერ იქნა წარმოადგენილი.

სტიქიისაგან მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, საკრებულოს 2013 წლის 27 მარტის №7 დადგენილებით, ადგილობრივ ბიუჯეტში შევიდა ცვლილება და გამოიყო 400,0 ათასი ლარი (თანხა გამოიყო ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებიდან). საქართველოს მთავრობის 2013 წლის 18 აპრილის №321 განკარგულებით, მარტში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ და გასაწევი ხარჯების ანაზღაურების მიზნით, კასპის მუნიციპალიტეტს გამოეყო 800,0 ათასი ლარი, რომელიც შესაბამისად აისახა ადგილობრივ ბიუჯეტში¹¹.

საცხოვრებელი სახლების დაზიანებული სახურავებისა და შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად, მუნიციპალიტეტსა და შპს „ლებეს“ შორის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 2013 წლის 29 მარტს გაფორმდა ხელშეკრულება №45. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 400,0 ათასი ლარი. სამუშაოების შესრულების ვადა განისაზღვრა 60 კალენდარული დღით (ხელშეკრულების გაფორმებიდან).

ხელშეკრულებას არ ახლავს: შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა, საჭირო მასალების ღირებულება, სატრანსპორტო და ხელფასის სახით გასაწევი ხარჯების გაანგარიშება, მოსალოდნელი დარიცხვები (ზედნადები ხარჯებისა და გეგმური დაგროვების სახით). ხელშეკრულებაში მოცემულია მხოლოდ „შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება“, სადაც ჩამოთვლილია გამოსაყენებელი მასალების ტექნიკური მახასიათებლები (დასახელება, სისქე, მარკა და სხვ.). ამდენად, ვერ დადგინდა თუ რა მოცულობის სამუშაოების შესრულება დაევალა მიმწოდებელს და რა ფასებში. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების¹² მიხედვით, ანგარისწორება უნდა განხორციელებულიყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანების შესაბამისად, ფაქტობრივად, გაწეული სამუშაოების მიხედვით (ზედნადები ხარჯები და გეგმური მოგება რამდენი პროცენტით უნდა დარიცხოდა, არ ჩანს). მიმწოდებელს ევალებოდა

¹¹ საკრებულოს 2013 წლის 8 მაისის №7 დადგენილება.

¹² 7.2 მუხლი

აგრეთვე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ დასკვნის წარმოდგენა შესრულებული სამუშაოების მოცულებებსა და ღირებულებაზე.

დარჩენილი 400,0 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოების შემჭიდროვებულ ვადებში ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით, მუნიციპალიტეტმა დროულად არ განახორციელა სათანადო შესყიდვა. სახელმწიფო ბიუჯეტის თანხის გამოყოფიდან თითქმის ერთი თვის დაგვიანებით, 16 მაისს, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით კვლავ შპს „ლებესთან“ წინა ხელშეკრულების ანალოგიურად გაფორმდა ხელშეკრულება (№58), რომლითაც სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 60 კალენდარული დღე (ანუ 15 ივლისი).

საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი 800,0 ათასი ლარი მიღებულია სრულად. შესრულებული სამუშაოს აქტების (ფორმა №2) მიხედვით, შპს „ლებეს“ მიერ საბოლოო შესრულებამ¹³ სულ შეადგინა 798,1 ათასი ლარი, სადაც 728,5 ათასი ლარი 177 საცხოვრებელი სახლისა და შენობა-ნაგებობის სარემონტო სამუშაოების¹⁴, ხოლო 69,6 ათასი ლარი - 97 ოჯახზე გადაცემული სამშენებლო მასალის ღირებულებაა.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით, გამგეობიდან გადაგზავნილი და კომისიის მიერ დაზარალებულად ცნობილი 369 განმცხადებლიდან, შესაძლოა დახმარება არ მიუღია 120 ოჯახს. აგრეთვე სავარაუდოდ, დახმარება მიიღო ისეთმა 21 ოჯახმა (თანხით 83,9 ათასი ლარი), რომელთა განცხადებები გამგეობის მიერ გადაგზავნილ დოკუმენტებში არ ირიცხებოდა; ორ ოჯახს ორჯერ გაეწია დახმარება, გადაეცათ სამშენებლო მასალები და გაურემონტდათ საცხოვრებელი შენობის სახურავი - თანხით 7,7 ათასი ლარი.

ზემოთ აღნიშნული შეუსაბამოები ნაწილობრივ შეიძლება გამოწვეული იყოს იმით, რომ დახმარების შესახებ განცხადება დაწერა ოჯახის ერთმა წევრმა, ხოლო შესრულებული (მიწოდებული) სამუშაოები გაფორმებულია ოჯახის სხვა წევრზე. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გამგეობაში რეგისტრირებულია დაზარალებულთა რამდენიმე კოლექტიური განცხადება, სადაც დახმარება გაეწია

¹³ №45 და №58 ხელშეკრულების მიხედვით.

¹⁴ წარმოდგენილია სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“ დასკვნა.

ერთზე მეტ ოჯახს. ასევე, ერთსა და იმავე სახელსა და გვარზე განცხადებები ზოგჯერ ორჯერაა რეგისტრირებული.

დახმარება გაწეული ობიექტებიდან 51-ს ჩაუტარდა 5,0 ათას ლარზე მეტი ღირებულების სამუშაოები, რამაც სულ 466,2 ათასი ლარი შეადგინა, ანუ მთლიანი თანხის 58,3%.

შიდასახელმწიფოებრივი გზის რეაბილიტაცია (შპს „ავტობანი“)

სახელმწიფო ბიუჯეტიდან იგოეთი-სამთავისი-ქვემო ჭალის შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზის რეაბილიტაციასა და სოფელ ზემო ხანდაკის გზის დაცვის მიზნით, წყალმრიდი არხის მოწყობის სამუშაოებისათვის გამოიყო 1500,0 ათასი ლარი¹⁵. მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული თანხით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი¹⁶, რომელშიც მონაწილეობდა სამი პრეტენდენტი. ვაჭრობის შედეგად გაიმარჯვა შპს „ავტობანმა“, თანხით - 1346,0 ათასი ლარი¹⁷.

2012 წლის 30 აგვისტოს შპს „ავტობანსა“ და მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების¹⁸ მიხედვით, სამუშაოები უნდა დამთავრებულიყო 28 ნოემბერს. ხელშეკრულება მოიცავდა შემდეგ სამუშაოებს: გზის დაცვის მიზნით წყალმრიდი ბეტონის არხის მოწყობა, დამთავრების ვადა 1 ოქტომბერი და იგოეთი-სამთავისი-ქვემო ჭალის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, დამთავრების ვადა - 28 ნოემბერი.

გზის სამუშაოების შესრულების ვადა ორჯერაა გადაწეული, თავდაპირველად 28 ნოემბერს სამუშაოების დამთავრების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 30 აპრილისათვის, ხოლო მეორედ - 30 აპრილს და დამთავრების ვადა განისაზღვრა 15 ივლისისათვის.

¹⁵ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 მაისის №972 განკარგულება

¹⁶ SPA120020687, შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით 1402.5 ათასი ლარი

¹⁷ აქედან გზის რეაბილიტაციის ღირებულება 1298.1 ათასი ლარი, არხის მოწყობის ღირებულება 47.9 ათასი ლარი

¹⁸ №154

გზების სამუშაოების დროულად დაუსრულებლობის მიზეზად პირველ შემთხვევაში მოყვანილია „არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობები (დაბალი ტემპერატურა, ნალექი)“¹⁹.

ვადის გადაწვევის მეორე მიზეზად დასახელებულია ის ფაქტი, რომ „ზამთრის თვეებში არახელსაყრელი მეტეოროლოგიური პირობებში არ შეიძლებოდა ასფალტობეტონის დაგება“ და წარმოდგენილია გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა მინიმალური ტემპერატურისა და ნალექების შესახებ²⁰. შესაძლებელია ამ პერიოდში არ იყო რეკომენდებული ასფალტობეტონის დაგება, მაგრამ გაურკვეველია სხვა სამუშაოები (გზის ხელოვნური ნაგებობები და სხვ.) რატომ არ დასრულდა, რომელთაც ასეთი გარემო-პირობები ხელს არ უშლიდა. 30 აპრილისათვის შესრულებული იყო მხოლოდ 463,8 ათასი ლარის სამუშაო (მთლიანი სამუშაოების 36%). ამ პერიოდისათვის საჯარიმო თანხის ოდენობა (დაჯარიმების შემთხვევაში) იქნებოდა 148,1 ათასი ლარი, რაც ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 11%-ია. ხელშეკრულების მე-11.2 პუნქტის მიხედვით კი, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებდა ჯამური ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება ჰქონდა შეეწყვიტა ხელშეკრულება და მე-8.2 პუნქტის შესაბამისად, მოეთხოვა ზარალის ანაზღაურება.

მიწოდების ვადის გაგრძელების მიზნით, შპს „ავტობანის“ მიერ მოყვანილი გარემოებები, კერძოდ, სამუშაოების შესრულებისათვის შესაფერისი მეტეოროლოგიური პირობების არარსებობა, ვერ ჩაითვლება განსაკუთრებულ მოვლენად, რომლის გათვალისწინება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შეუძლებელი იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს იმის რისკი, რომ შესაძლებელია მუნიციპალიტეტმა შპს „ავტობანს“ სამუშაოების დასრულების ვადა გადაუწია, რათა არ დარიცხოდა ჯარიმა. მუნიციპალიტეტის მიერ ვადის გაუგრძელებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს 15 ივლისამდე დაერიცხებოდა ჯარიმა 215,3 ათასი ლარი²¹.

¹⁹ კომპეტეტური ორგანოს გაცემული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტი წარმოდგენილი არ არის

²⁰ 2012 წლის 15 დეკემბრიდან 2013 წლის 20 მარტამდე.

²¹ სახელშეკრულებო ღირებულება 1 346.0 ათასი ლარი X 32 (კვირა) X 0.5%.

შპს „ავტობანმა“ მუნიციპალიტეტს სამუშაოების დასრულების თაობაზე მიმართა 2013 წლის 15 ივლისს (წერილი №171/13), ხოლო მანამდე, 4 ივლისს, კი სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს“- შესრულებულ სამუშაოებზე ექსპერტიზის ჩატარებისათვის. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი დათარიღებულია 2 აგვისტოთი. რეალურად სამუშაო როდის დამთავრდა ვერ დადგინდა. ამდენად შპს „ავტობანის“ მიერ სამუშაოების დასრულების რეალური თარიღის დადგენის შემდგომ საჯარიმო სანქცია შესაძლებელია გაიზარდოს.

შპს „ავტობანმა“ გზის რეაბილიტაციაზე შეასრულა 1 285,0 ათასი ლარის სამუშაოები, საიდანაც აუნაზღაურდა 1 253,3 ათასი ლარი, ანუ 31,7 ათასი ლარით ნაკლები. მუნიციპალიტეტის გამგეობის 5 აგვისტოს №2/-1403 წერილით, შპს „ავტობანს“ ეცნობა, რომ მუნიციპალიტეტის ინსპექტირების ჯგუფის მიერ გზის რეაბილიტაციის სამუშაოებში გამოვლენილია სხვადასხვა ხარვეზი (შესასრულებელი და შესასწორებელი სამუშაოები), რომლის აღმოსაფხვრელად ვადა მიეცა 2013 წლის 18 აგვისტომდე.

იგოეთი-სამთავისი-ქვემო ჭალის გზა წარმოადგენს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზას²², რომლის შეკეთებას, მოვლა-შენახვას, საექსპლუატაციოდ მიღებასა და საჭირო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებას არეგულირებს საქართველოს კანონმდებლობა, კერძოდ, საქართველოს კანონი „საავტომობილო გზების შესახებ“²³ და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 10 იანვარის №1-1/23 ბრძანებით დამტკიცებული „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე დასრულებული საგზაო სამუშაოების (გარდა მშენებლობის, მოდერნიზაციისა და რეკონსტრუქციის) მიღების წესის შესახებ“ დებულება.

მუნიციპალიტეტის მოთხოვნით შპს „ავტობანის“ მიერ ჩატარებულია დატკეპნის ცდის შედეგების ლაბორატორიული კვლევა და ასფალტობეტონის

²² საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 27 მაისის №287 ბრძანებულებით დამტკიცებული „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის“ მიხედვით.

²³ მუხლი 26.

ამონაჭრების გამოცდა, აგრეთვე სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასმართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ ჩატარებულია შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და რაოდენობების ექსპერტიზა.

მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნულ გზაზე ჩატარებული სამუშაოების მიღება ზემოთ აღნიშნული დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად არ განხორციელებულა. კერძოდ: არ იქნა შერჩეული საზედამხედველო ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფდა ზედამხედველობას საგზაო სამუშაოების შესრულებაზე; მუნიციპალიტეტის მიერ არ იქნა შემოწმებული გამოყენებული მასალების, შესრულებული სამუშაოს ხარისხობრივი და სხვა მაჩვენებლები (ფიზიკო-მექანიკური და ქიმიური); არ შემოწმებულა აგრეთვე, გამოყენებული მასალების შესაბამისობა მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე აუდიტის ჯგუფი ვერ გამოთქვამს მოსაზრებას შპს „ავტობანის“ მიერ შესრულებული იგოეთი-სამთავისი-ქვემო ჭალის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები რამდენად შეესაბამება ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო ნორმებს.

შპს „ნიკუშა +“-ის მიერ შესრულებული სამუშაოები

1. კასპის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის 20 მარტს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი ადმინისტრაციული შენობის პირველი სართულის რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე, სავარაუდო ღირებულებით - 41,8 ათასი ლარი²⁴. ტენდერში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ შპს „ნიკუშა +“-მა. აღნიშნული ფირმა დაფუძნებულია კასპში, ტენდერის გამოცხადებიდან სამ დღეში, 2012 წლის 23 მარტს²⁵. განაცხადი ტენდერში მონაწილეობაზე მას შეტანილი აქვს 11 აპრილს, სადაც ტენდერის საკვალიფიკაციო მონაცემებით მოთხოვნილი ინფორმაცია ანალოგიურ სამუშაო გამოცდილებაზე არ წარმოუდგენია. ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების ფორმა ატვირთულია 17 აპრილს, სადაც გამოცდილებად ნაჩვენებია ფირმის მიერ, მოქალაქე მანანა ხოხიაშვილისთვის 2012 წლის მარტ-აპრილში შესრულებული სარემონტო

²⁴ SPA120008974.

²⁵ დამფუძნებლები არიან 50%-იანი წილებით - ივანე ივანიშვილი და ალბერტ კოპაძე.

სამუშაოები, თანხით 4,8 ათასი ლარი. სატენდერო კომისიამ აღნიშნული სამუშაოები საკმარისად ჩათვალა და გამარჯვებულად გამოაცხადა შპს „ნიკუშა“.

ტენდერი ჩატარებულია სხვადასხვა დარღვევით:

✓ მარეგულირებელი (კანონქვემდებარე) ნორმატიული აქტის²⁶ მიხედვით, სატენდერო კომისიის ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა აისახოს სატენდერო კომისიის შესაბამის სხდომის ოქმში. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება მხოლოდ სატენდერო კომისიის ყველა დამსწრე წევრის მიერ ოქმზე ხელმოწერის შემდეგ. სატენდერო კომისიის სხდომის №3 ოქმში აღნიშნულია, რომ „შპს „ნიკუშა“-ის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია დამაკმაყოფილებელია და შეესაბამება მოთხოვნებს“, სატენდერო კომისიის სხდომას ესწრებოდა, მაგრამ ოქმს ხელს არ აწერს კომისიის წევრი, ზურაბ გელიტაშვილი²⁷.

✓ სატენდერო კომისიისა და მისი აპარატის წევრები ვალდებული არიან წერილობით დაადასტურონ მათ და პრეტენდენტებს შორის ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა²⁸. ინფორმაციას ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ხელს არ აწერს კომისიის აპარატის წევრი, ზურაბ კოპაძე²⁹.

შპს „ნიკუშა“³⁰ და კასპის მუნიციპალიტეტს შორის 2012 წლის 30 აპრილს გაფორმდა ხელშეკრულება №96. ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 41,5 ათასი ლარი. სამუშაოების დამთავრების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 20 ივნისი. აღნიშნული ვადა გადაწეულია 7 დღით (შეთანხმება №1), რომლის მიზეზად მიმწოდებელს მოყვანილი აქვს მასალის უქონლობა. სამუშაოები დამთავრებულია 2012 წლის 27 ივნისს, შესრულებულია 40,8 ათასი ლარის სამუშაო³¹.

2. მუნიციპალიტეტის მიერ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შპს „ნიკუშა“-თან 2012 წლის 1 მაისს გამართებული შესყიდვით გაფორმდა

²⁶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება - „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ მე-14 მუხლის მე-6 პუნქტი.

²⁷ ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი.

²⁸ ზემოთ აღნიშნული წესის მე-17 მუხლი.

²⁹ ზურაბ კოპაძე ესწრებოდა სატენდერო კომისიის სხდომას.

³⁰ დირექტორი დალი ბაისონაშვილი.

³¹ ვადის გადაუწელობის შემთხვევაში, ჯარიმა შეადგენს: 0.2 ათასი ლარი - სახელშეკრულებო ღირებულება. 41.8 ათასი ლარი X 1(კვირა) X 0.5%.

ხელშეკრულება №97. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა კასპის მუნიციპალიტეტის სოფლებში კულტურის ობიექტების, სკვერის, საბავშვო ბაღისა და ხიდის (სულ 6 ობიექტი) სარემონტო-მოწყობის სამუშაოები, საერთო თანხით - 61,7 ათასი ლარი. სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2012 წლის 2 ივლისს. შპს „ნიკუშა“-ის მიერ 4-ჯერ იქნა მოთხოვნილი სამუშაოს დასრულების ვადის გადაწევა, რომელსაც მუნიციპალიტეტი დაეთანხმა და საბოლოოდ სამუშაოების დასრულების ვადა განისაზღვრა 2012 წლის 2 ნოემბრით. ოთხივე შემთხვევაში შპს „ნიკუშა“-ის მიერ სამუშაოების დასრულების ვადის გადაწევა მოთხოვნილია სამშენებლო მასალების უქონლობის გამო, რაც წარმოადგენს მიმწოდებლის პრობლემას და არ შეიძლება ჩაითვალოს ვადის გადაწევის ობიექტურ მიზეზად.

მუნიციპალიტეტსა და შპს „ნიკუშა“-ს შორის შესრულებულ სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების აქტი დათარიღებულია 2013 წლის 15 მარტით, შესრულებული სამუშაოს თანხა სულ შეადგენს 57,9 ათას ლარს³².

№97 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შპს „ნიკუშა“-მა ნაცვლად 2012 წლის 2 ივლისისა, შეასრულა 2013 წლის 15 მარტს. მიმწოდებლის მიერ მოყვანილი არგუმენტები და სამუშაოს დასრულების ვადების გადაწევის მიზეზები ვერ ჩაითვლება განსაკუთრებულ მოვლენად (ისეთ გარემოებად), რომლის გათვალისწინება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შეუძლებელი იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს იმის რისკი, რომ შესაძლებელია მუნიციპალიტეტმა შპს „ნიკუშა“-ს სამუშაოების დასრულების ვადა გადაუწია იმ მოტივით, რომ ჯარიმა არ დარიცხოდა.

მუნიციპალიტეტის მიერ ვადის არ გადაწევის შემთხვევაში, 2 ნოემბრამდე შპს „ნიკუშა“-ს დაერიცხებოდა ჯარიმა 5,3 ათასი ლარი³³, ხოლო ვადის გასვლის შემდგომ (2 ნომრიდან 15 მარტამდე) არ არის დარიცხული 5,8 ათასი ლარი³⁴. ჯარიმის დარიცხვის შემთხვევაში თანხა სულ შეადგენდა 11,1 ათას ლარს.

³² შესრულებული სამუშაოები დადასტურებულია სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ მიერ 2013 წლის 28 თებერვალს გაცემული ექსპერტიზის დასკვნით.

³³ სახელშეკრულებო ღირებულება 61.7 ათასი ლარი X 17 (კვირა) X 0.5% .

³⁴ სახელშეკრულებო ღირებულება 61.7 ათასი ლარი X 19 (კვირა) X 0.5%.

3. მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხებით³⁵, შპს „ნიკუშა“-თან 2012 წლის 30 ივლისს გამარტივებული შესყიდვით გაფორმდა ხელშეკრულება №144, სოფ. ქვემო და ზემო რენეს სასმელი წყლის მომარაგების სამუშაოების შესასრულებლად, სახელშეკრულებო თანხით - 329,8 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტმა აღნიშნული ხელშეკრულება შპს „ნიკუშა“-სთან გააფორმა, მაშინ, როდესაც იგი არ წარმოადგენდა საიმედო მიმწოდებელს, რადგან მუნიციპალიტეტთან დადებული ორი ხელშეკრულებიდან ერთი (№96) დაასრულა ვადის გადაწევის შემდგომ, ხოლო მეორე ხელშეკრულების (№97) სამუშაოების დასრულების ვადა ამ პერიოდისათვის, მასალების უქონლობის გამო უკვე გადაწეული იყო ორჯერ.

ხელშეკრულების მიხედვით³⁶, „შემსრულებელს სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელებისათვის წინასწარ შეუძლია მოითხოვოს ავანსის სახით ხელშეკრულების ღირებულების 40%, საბანკო ან სადაზღვევო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე“. მუნიციპალიტეტის მიერ შპს „ნიკუშა“-ს ავანსის თანხა 131,9 ათასი ლარი (სახელშეკრულებო ღირებულების 40%) კი ისე ჩაერიცხა, რომ მას არ წარმოუდგენია საგარანტიო ფურცელი (გარანტია).

შპს „ნიკუშა“-ს სამუშაოები უნდა დაემთავრებია 2012 წლის 28 სექტემბრისათვის, მაგრამ ვადა გადაწეულ იქნა 7-ჯერ და აუდიტის მიმდინარეობისას სამუშაოები დაუსრულებელი იყო. ვადის გადაწევის პირველ ოთხ მიზეზად მიმწოდებლის მიერ მოყვანილია მასალების უქონლობა და კლიმატური პირობები. აღნიშნული მიზეზებით ვადა გადაწეულია 2013 წლის 28 მარტამდე. ამ პერიოდისათვის შესრულებულია 232,9 ათასი ლარის სამუშაო (მთლიანი ღირებულების 70%).

შემდგომ წარმოიშვა მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები (პრობლემები), თუმცა აღნიშნული უნდა სცოდნოდა დამკვეთს და მოეგვარებინა დროულად. ეს პრობლემებია: მიწის ნაკვეთი, რომელზედაც დამაგრებულია სათავე ნაგებობების შენობა, სახელწიფო საკუთრებას წარმოადგენდა და მუნიციპალიტეტის

³⁵ თანხები გამოყოფილია 2012 წლის 2 და 13 ივლისს

³⁶ მუხლი 4, „ანგარისწორების ფორმა და ვადები“, ქვეპუნქტი 4.6.

საკუთრებაში დარეგისტრირებული არ იყო³⁷; დროულად ვერ მიიღეს ნებართვები: სს „ენერგო-პრო ჯორჯიადან“, ელექტოენერგიის მოწოდებაზე და კომპანია „ბპ საქართველოდან“ (მაგისტრალური ნავთობსადენის კომპანია) მილსადენის გადაკვეთაზე.

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 ივლისის №49 განკარგულებით, შპს „ნიკუშა“-ს სამუშაოების დამთავრების ვადა გაუგრძელდა 2013 წლის 14 სექტემბრამდე.

შპს „ნიკუშა“-ის მიერ სამუშაოების შესრულების ვადის 2012 წლის 28 სექტემბრიდან 2013 წლის 28 მარტამდე გაგრძელების მიზნით მოყვანილი გარემოებები, კერძოდ, სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო შესაბამისი მეტეოროლოგიური პირობების არარსებობა და მასალის უქონლობა, ვერ ჩაითვლება განსაკუთრებულ მოვლენად, რომლის გათვალისწინება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შეუძლებელი იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს იმის რისკი, რომ შესაძლებელია მუნიციპალიტეტმა შპს „ნიკუშა“-ს სამუშაოების დასრულების ვადა გადაუწია იმიტომ, რომ ჯარიმა არ დარიცხოდა. მუნიციპალიტეტის მიერ ხელშეკრულების ვადის არგაგრძელების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაერიცხებოდა 41,2 ათასი ლარის ჯარიმა³⁸, სახელშეკრულებო ღირებულების 12%. ხელშეკრულების მე-9.2 პუნქტის მიხედვით, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებდა ჯამური ღირებულების 2%-ს, მუნიციპალიტეტს უფლება ჰქონდა შეეწყვიტა ხელშეკრულება და მოეთხოვა შემსრულებლისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

შპს „ნდს მშენებლის“ მიერ შესრულებული სამუშაოები

1. 2011 წელს მუნიციპალიტეტს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოეყო 1700 ათასი ლარი³⁹, საიდანაც სააკადის ქუჩაზე, ვარჯაანისა და ქეჩარუხის დასახლებაში

³⁷ დარეგისტრირდა 2013 წლის 22 მაისს.

³⁸ სახელშეკრულებო ღირებულება 329,8 ათასი ლარი X 25 (კვირა) X 0.5%.

³⁹ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 აპრილის №735 განკარგულება „ქალაქ კასპში სასმელი წყლისა და საკანალიზაციო სისტემების, აგრეთვე გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“.

კანალიზაციისა და სასმელი წყლის ქსელის სისტემის მოწყობის სამუშაოების შესყიდვისათვის გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი⁴⁰ - თანხით 1240,4 ათასი ლარი.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო სამმა პრეტენდენტმა და გაიმარჯვა შპს „ნდს მშენებელმა“⁴¹. ხელშეკრულებით, სამუშაოს დამთავრების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 24 აპრილი. სამუშაოების შესრულების ვადა ორჯერაა გადაწეული, თავდაპირველად 2012 წლის 18 აპრილს და სამუშაოების დამთავრების ვადა განისაზღვრა 25 ივნისისათვის, ხოლო მეორედ - 20 ივნისს და დამთავრების ვადა განისაზღვრა 9 აგვისტოსათვის.

სამუშაოების დროულად დაუსრულებლობის მიზეზად პირველად დასახელებულია „მკაცრი ზამთარი და დიდთოვლობა“, აგრეთვე „დიდი დიამეტრის საკანალიზაციო მილების შეფერხებით მოწოდება“. წარმოდგენილია გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ცნობა, იანვარ-თებერვალში ჰაერის მინიმალური ტემპერატურისა და ნალექების შესახებ. მიმწოდებელს ამ დროისათვის ჩაბარებული ჰქონდა 383,6 ათასი ლარის სამუშაოები (მთლიანი სამუშაოების 41%).

ვადის გადაწევის მეორე მიზეზად მოყვანილია „გაზაფხულის უხვი წვიმები და წყალდიდობები“, რაზედაც რაიმე სახის მტკიცებულება წარმოდგენილი არ არის ამ დროისათვის შესრულებული იყო 755,8 ათასი ლარის სამუშაო (მთლიანი სამუშაოების 81%). ამ პერიოდისათვის საჯარიმო თანხის ოდენობა (დაჯარიმების შემთხვევაში) იქნებოდა 38,0 ათასი ლარი⁴², რაც ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 4%-ია. ხელშეკრულების მე-11.2 პუნქტის მიხედვით კი, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებდა ჯამური ღირებულების 4 %-ს, შემსყიდველს უფლება ჰქონდა შეეწყვიტა ხელშეკრულება და მე-8.2 პუნქტის შესაბამისად მოეთხოვა ზარალის ანაზღაურება.

შესრულებულმა სამუშაომ სულ შეადგინა 923,9 ათასი ლარი, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი დათარიღებულია 2012 წლის 8 აგვისტოთი.

⁴⁰ 2011 წლის 18 ივლისის ტენდერი SPA11001903 7.

⁴¹ 2011 წლის 24 აგვისტოს ხელშეკრულება №102, თანხით 949.9 ათასი ლარი.

⁴² სახელშეკრულებო ღირებულება 949.9 ათასი ლარი X 8 (კვირა)X 0.5%.

სამუშაოები, ნაცვლად 244 დღისა, საბოლოოდ ჩაბარდა 344 დღეში, 100 დღის დაგვიანებით. მიწოდების ვადის გაგრძელების მიზნით, შპს „ნდს მშენებლის“ მიერ მოყვანილი გარემოებები, კერძოდ, სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო შესაბამისი მეტეოროლოგიური პირობების არარსებობა და სამშენებლო მასალების უქონლობა, ვერ ჩაითვლება განსაკუთრებულ მოვლენად (გარემოებად), რომლის გათვალისწინება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შეუძლებელი იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს იმის რისკი, რომ შესაძლებელია მუნიციპალიტეტმა შპს „ნდს მშენებელს“ სამუშაოების დასრულების ვადა გადაუწია იმ მოტივით, რომ არ დარიცხოდა ჯარიმა. ვადის გაუგრძელებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაერიცხებოდა ჯარიმა 71,2 ათასი ლარი⁴³.

მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ არის ატვირთული ხარჯთაღრიცხვაში შეტანილი კორექტირებები⁴⁴.

2. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის დარჩენილ ნაწილზე (437,8 ათასი ლარი) მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის სექტემბერში გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი ქ. კასპის მიკრორაიონის კორპუსებისა და რუსთაველის ქუჩის საკანალიზაციო და სასმელი წყლის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოების შესყიდვაზე⁴⁵, ვაჭრობის შედეგად გაიმარჯვა შპს „ნდს მშენებელმა“.

შპს „ნდს მშენებელსა“ და კასპის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით⁴⁶, სამუშაოს დამთავრების ვადად განისაზღვრა 2011 წლის 26 დეკემბერი.

2011 წლის 6 დეკემბერს მიმწოდებელმა ითხოვა⁴⁷ სამუშაოს დამთავრების ვადის 2012 წლის 29 თებერვლამდე გადაწევა, რის მიზეზად მოიყვანა, რომ „უამინდობის (ყინვისა და თოვლის) გამო შეუძლებელი ხდება სამუშაოების დროული

⁴³ სახელშეკრულებო ღირებულება 949.9 ათასი ლარი X 15(კვირა) X 0.5%.

⁴⁴ დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის მოთხოვნა.

⁴⁵ 2011 წლის 20 სექტემბრის ტენდერი SPA110024365, სავარაუდო ღირებულებით 437.8 ათასი ლარი

⁴⁶ 2011 წლის 11 ნოემბრის ხელშეკრულება №140, თანხით 417.0 ათასი ლარი.

⁴⁷ მუნიციპალიტეტს მიმართა წერილი №02/122-ით

და ხარისხიანი შესრულება“, თუმცა აღნიშნული ფაქტის დამადასტურებლად არ წარმოუდგენია შესაბამისი დოკუმენტი.

ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულია გადაწყვეტილება⁴⁸, რომ ვადა გაუგრძელდებოდა შესაბამისი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემდგომ. გარანტია წარმოდგენილია და ვადა გადაწეულია.

შპს „ნდს მშენებელმა“ სამუშაოები დათქმულ ვადაში ვერ შეასრულა და ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის გარანტორის - სს „საქართველოს ბანკის“ მიერ 2012 წლის 9 მარტს ადგილობრივ ბიუჯეტში ჩარიცხულია საბანკო გარანტიის თანხა - 37,5 ათასი ლარი (სახელშეკრულებო ღირებულების 9%).

2012 წლის 22 მარტს შპს „ნდს მშენებელმა“ მიმართა მუნიციპალიტეტს და ითხოვა არ შეწყვეტილიყო ხელშეკრულება და სამუშაოს დაამთავრებდა 30 აპრილისათვის, აგრეთვე გადაიხდიდა დაკისრებულ ჯარიმას, რომელსაც მუნიციპალიტეტის საკრებულო დათანხმდა⁴⁹.

შპს „ნდს მშენებელმა“ აცნობა მუნიციპალიტეტს (წერილი №02/44) სამუშაოების დამთავრების შესახებ და მოითხოვა თანხის ანაზღაურება⁵⁰. 23 აპრილს მიმწოდებლის მიერ სამუშაოების დაგვიანებით ჩაბარებისთვის ადგილობრივ ბიუჯეტში გადახდილია ჯარიმა 16,7 ათასი ლარი.

3. 2012 წლის 26 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ინფრასტრუქტურული და სოციალური პროექტების განსახორციელებლად გამოიყო 350.0 ათასი ლარი, საიდანაც ქალაქ კასპში, ვარჯაანის დასახლების საკანალიზაციო ქსელის მოწყობის სამუშაოების შესასყიდად (გამარტივებული წესით), მიმართულია 339.9 ათასი ლარი.

მიუხედავად იმისა, რომ შპს „ნდს მშენებელი“ წარმოადგენდა არასაიმედო მიმწოდებელს: პირველი ხელშეკრულებით (№102) გათვალისწინებული ვალდებულებები 100 დღით ვადის გაგრძელების შემდგომ კიდევ არ ჰქონდა

⁴⁸ 2011 წლის 16 დეკემბრის №57 განკარგულება

⁴⁹ 2012 წლის 23 მარტის წერილი №2/1-571.

⁵⁰ წერილი დათარიღებულია 2012 წლის 20 აპრილით, მაგრამ გამგეობაში რეგისტრირებული არ არის.

შესრულებული⁵¹, ხოლო მეორე (№140) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დაგვიანებით შესრულებისთვის დაეკისრა საჯარიმო სანქცია, მუნიციპალიტეტმა 2012 წლის 30 ივლისს კვლავ მასთან გააფორმა ხელშეკრულება⁵². სამუშაოების დამთავრების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 28 სექტემბერი (60 დღე).

აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დამთავრების ვადა გადაწეულია 3-ჯერ და საბოლოო ვადად განისაზღვრა 2012 წლის 10 დეკემბერი:

2012 წლის 24 სექტემბერს შპს „ნდს მშენებელმა“ მიმართა მუნიციპალიტეტს (წერილი №02/99) სამუშაოების დამთავრების ვადის გადაწევის თხოვნით. წერილში აღნიშნულია, რომ „ტექნიკური მიზეზების გამო ფერხდება დიდი დიამეტრის საკანალიზაციო მილების შემოტანა-მოწოდება თურქეთიდან“ და ვადის გადაწევა ითხოვეს 10 ნოემბრამდე. ამ დროისათვის მას შესრულებული აქვს 168,9 ათასი ლარის სამუშაო, მთლიანი სამუშაოს 50%.

ვადის მეორედ გადაწევა მოხდა 7 ნოემბერს, იგი გადაწეულია 29 ნოემბრამდე. მიზეზად კი კვლავ მილების მოუწოდებლობა და სხვა ტექნიკური პირობებია მოყვანილი. ამ დროისათვის მას შესრულებული აქვს 203,6 ათასი ლარის სამუშაო, მთლიანი სამუშაოს 60%.

მიწოდების ვადის გაგრძელების მიზნით, შპს „ნდს მშენებლის“ მიერ მოყვანილი გარემოებები, კერძოდ, სამშენებლო მასალის უქონლობა, ვერ ჩაითვლება განსაკუთრებულ მოვლენად, რომლის გათვალისწინება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შეუძლებელი იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებობს იმის რისკი, რომ შესაძლებელია მუნიციპალიტეტმა შპს „ნდს მშენებელს“ სამუშაოების დასრულების ვადა იმიტომ გადაუწია, რომ ჯარიმა არ დარიცხოდა.

შპს „ნდს მშენებელს“ სამუშაოების დამთავრების ვადის გაუგრძელებლობის შემთხვევაში, დაერიცხებოდა ჯარიმა 15,3 ათასი ლარი⁵³, სახელშეკრულებო ღირებულების 4,5%. ხელშეკრულების მე-9.2 პუნქტის მიხედვით, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებდა ჯამური ღირებულების 2%-ს,

⁵¹ აღნიშნული სამუშაოები დასრულდა 2012 წლის 8 აგვისტოს.

⁵² გამარტივებული შესყიდვის გზით გაფორმებული ხელშეკრულება №145, თანხით - 339.9 ათასი ლარი.

⁵³ სახელშეკრულებო ღირებულება 339.9 ათასი ლარი X 9 (ცვირა) X 0.5%.

მუნიციპალიტეტს უფლება ჰქონდა შეეწყვიტა ხელშეკრულება და მოეთხოვა შემსრულებლისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

მიუხადავად ვადის გადაწევისა, სამუშაოები დროულად არ დამთავრებულა. საბოლოო ვადა კი გადაიწია 28 ნოემბერს, ხარჯთაღრიცხვის ღირებულებიდან გაუსვლელად, დამატებითი სამუშაოების შესრულების მოტივით (ხარჯთაღრიცხვის კორექტირება შეთანხმებულია საპროექტო ორგანიზაციასთან)⁵⁴. სამუშაოები უნდა დამთავრებულიყო 11 დეკემბრამდე.

სამუშაოები, ნაცვლად 60 დღისა, საბოლოოდ ჩაბარდა 140 დღეში, 2012 წლის 10 დეკემბერს, 80 დღის დაგვიანებით. შესრულებულმა სამუშაომ სულ შეადგინა 336,6 ათასი ლარი.

შპს MSHEN-GROUP- ის („მშენ-გროუფ“) მიერ შესრულებული სამუშაოები

მუნიციპალიტეტის მიერ ელექტრონული ტენდერით⁵⁵ გამოცხადებულია სოფელ ზემო ხანდაკისა და ხოვლეს ჩათვლით ცენტრალური გზის რეაბილიტაციის სამუშაოების (I ეტაპი) შესყიდვა, თანხით 974,9 ათასი ლარი. ტენდერში მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა ერთმა პრეტენდენტმა, შპს MSHEN-GROUP-მა („მშენ-გროუფმა“)⁵⁶.

სამუშაოები დამთავრებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, თანხით 941,9 ათასი ლარი, რომელიც ანაზღაურებულია სრულად.

მიმწოდებლის მიერ ორჯერ არის შეტანილი ცვლილებები ხარჯთაღრიცხვაში, საიდანაც მუნიციპალიტეტის მიერ ერთი ცვლილება არ არის ატვირთული სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაზე⁵⁷.

⁵⁴ სახელშეკრულებო ღირებულებიდან გაუსვლელად.

⁵⁵ 2012 წლის 6 ივნისის SPA120015750 ტენდერი.

⁵⁶ 2012 წლის 9 ივლისის ხელშეკრულება №133, თანხით - 944,9 ათასი ლარი.

⁵⁷ დარღვეულია სახელწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-20 მუხლის მოთხოვნა.

ამდენად კასპის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული შესყიდვების შესწავლით გამოლინდა, რომ მათთვის ცნობილი იყო როგორ ემოქმედათ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ შპს „ნდს მშენებლის“⁵⁸ მიმართ, რომელმაც დაარღვია მიწოდების ვადები გატარებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებები: მოთხოვნილი და ამოღებულია საჯარიმო თანხები. მიუხედავად ამისა, სხვა შესყიდვების განხორციელებისას⁵⁹ მუნიციპალიტეტის მიერ გამოყენებულია სხვაგვარი მიდგომები და არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები.

სამშენებლო სამუშაოებზე ფაქტობრივად გაწეული ხარჯები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანების მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული შესყიდვის დროს: შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით; ზედნადები ხარჯები და გეგმური მოგება ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებულ სამუშაოებს (პირდაპირ დანახარჯებს) უნდა დაერიცხოს მიმწოდებელსა და შემსყიდველ ორგანიზაციას შორის დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პროცენტის ფარგლებში; სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის მიერ დაქირავებული სამშენებლო მანქანა-მექანიზმებისა და ინვენტარის ქირავნობის ღირებულება შესრულებული სამუშაოების აქტში გათვალისწინებული უნდა იყოს ზედნადები ხარჯების და გეგმური მოგების დარიცხვის გარეშე.

მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის ივლისიდან გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებულ სამშენებლო სამუშაოებზე ფაქტობრივად გაწეული ხარჯები ისეა ანაზღაურებული, რომ არ არის მოთხოვნილი და წარმოდგენილი აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული ფაქტობრივი ხარჯების დამადასტურებელი

⁵⁸ 2011 წლის 11 ნოემბრის ხელშეკრულება №140, თანხით 417.0 ათასი ლარი.

⁵⁹ შპს „ლებე“ -ხელშეკრულება N92; შპს „ავტობანი“-ხელშეკრულება N154; შპს „ნიკუმა“-ხელშეკრულებები N97 და N144; შპს „ნდს მშენებელი“ -ხელშეკრულება N145.

დოკუმენტები (მასალების შეძენის, ხელფასებისა და სატრანსპორტო ხარჯების დოკუმენტები).

სულ, 2012 წლის ივლისიდან გამარტივებული შესყიდვით სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე დადებულია 9 ხელშეკრულება, საიდანაც 4 არის გაფორმებული შპს „კასპის კეთილმოწყობასა“ და შპს „ლებესთან“, რომელთა დოკუმენტაცია ამოღებული აქვს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს, ხოლო შპს „ნიკუშა“-ს სამუშაოები აუდიტის მიმდინარეობისას დამთავრებული და ჩაბარებული არ ჰქონდა.

მუნიციპალიტეტის მიერ შპს „ლებესთვის“ შესრულებული 798,1 ათასი ლარის სამუშაოების ღირებულება⁶⁰ ისეა ანაზღაურებული, რომ არ არის წარმოდგენილი ზემოთ აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული ფაქტობრივი ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები და ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაოები.

აუდიტის მსვლელობისას, ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე, შპს „ლებემ“ კასპის მუნიციპალიტეტში წარმოადგინა გაწეული ფაქტობრივი ხარჯების ამსახველი დოკუმენტების ასლები, რომელიც არ იძლევა საშუალებას გაკეთდეს დასკვნა, რამდენად რეალურია მის მიერ შესრულებული სამუშაოების აქტებში (ფორმა №2) ასახული ხარჯები, რადგან: არ არის წარმოდგენილი შრომითი და სატრანსპორტო დანახარჯების ამსახველი დოკუმენტაცია; სახლების გადასახური მასალა „მოთუთიებული ნაგლინი“ (დანახარჯების ძირითადი კომპონენტი) შეძენილია და ხარჯებში ნაჩვენებია სხვადასხვა განზომილებით (შეძენილია წონით, ხარჯვაში ნაჩვენებია კვ. მეტრებში); ზოგიერთი მასალის ხარჯვის დოკუმენტაცია საერთოდ არ არის წარმოდგენილი; ვერ დადგინდა, აგრეთვე, შეძენილი მასალა რომელი ხელშეკრულების შესრულებაზე გაიხარჯა.

შპს „ლებეს“ ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესრულების მიზნით, ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ქვეკონტრაქტორ შპს „კასპის კეთილმოწყობასთან“, რომელმაც ორ სოფელში შეასრულა 24,5 ათასი ლარის, სტიქიის შედეგად დაზიანებული

⁶⁰ 2013 წლის 29 მარტის №45 და 16 მაისის № 58 ხელშეკრულებები.

საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები. ქვეკონტრაქტორის ფორმა №2-ის შესწავლით დადგინდა, რომ შპს „ლებეს“ გაზრდილად აქვს ნაჩვენები შესრულებაში აღნიშნული სამუშაოების ღირებულება (ერთეული ფასების გაზრდის გზით). ზემოთ აღნიშნული ბრძანების შესაბამისად, მას უფლება არ ჰქონდა მოეთხოვა მუნიციპალიტეტიდან ქვეკონტრაქტორის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებაზე მეტი. შედეგად, შპს „ლებემ“ ბიუჯეტიდან ამ ოპერაციით დაუსაბუთებლად მიიღო 2,7 ათასი ლარი (დარიცხვების გათვალისწინებით).

აუდიტის ჯგუფის მიერ შესწავლილი მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულყოფილია და საბოლოო დასკვნის გაკეთების საფუძველს არ იძლევა:

- I. შპს „ნდს მშენებლმა“ წარმოადგინა გაწეული ფაქტობრივი ხარჯების ამსახველი დოკუმენტების ასლები⁶¹, რომლის შესწავლით დადგინდა:
 - ქვეკონტრაქტორების მიერ შესრულებული სამუშაო საერთო ჯამში 0,8 ათასი ლარით შემცირებული ღირებულებითაა ნაჩვენები შესრულებაში (დარიცხვების გათვალისწინებით)⁶², ე.ი. მიმწოდებელს ნაკლები თანხა აქვს მოთხოვნილი.
 - ინდ/მეწარმე „მერაბ ქამხაძისგან“ დაქირავებულ ტექნიკაში გადახდილია 17,9 ათასი ლარი, რაზედაც დარიცხვებმა შეადგინა 3,5 ათასი ლარი, რომელსაც ზემოთ აღნიშნული ბრძანება არ ითვალისწინებს.
 - ტრანსპორტის ხარჯებში სულ ნაჩვენებია 41,0 ათასი ლარი, ხარჯვის დამადასტურებლად ტექნიკის იჯარის გადახდის გარდა (17,9 ათასი ლარი), წარმოდგენილია აგრეთვე 37,2 ათასი ლარის საწვავის შეძენის დოკუმენტები.
 - ხელფასის სახით ხარჯებში ნაჩვენებია 47,4 ათასი ლარი, წარმოდგენილია 50.0 ათასი ლარის ხელფასის გაცემის უწყისები, რომელიც საშემოსავლო გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს 62,5 ათას ლარს.

⁶¹ 2012 წლის 30 ივლისის №145 ხელშეკრულება, თანხით 339.9 ათასი ლარი.

⁶² ქვემოთაა „არქიმენსტუდია 2002“-ს შესრულებული აქვს 18.8 ათასი ლარის სამუშაო(დარიცხვების გარეშე), ნაჩვენებია 18.2 ათასი ლარი, სხვაობა დარიცხვებით შეადგენს 0.8 ათას ლარს (0.6X1.08X1.08X1.18)

- მასალების ხარჯვაში გოფირებული მილების ღირებულება დიამეტრის მიხედვით, არ შეესაბამება შეძენის ფასებს, ზოგჯერ აღემატება, ზოგჯერ კი ნაკლებია: 150 მმ-იანი მილი შეძენილია 9 ლარად, ნაჩვენებია 10 ლარი, 300 მმ-იანი შეძენილია 28 ლარად, ნაჩვენებია 30 ლარი, 500 მმ-იანი შეძენილია 85 ლარად, ნაჩვენებია 90 ლარი, ხოლო 400 მმ-იანი შეძენილია 48 ლარად და ნაჩვენებია 40 ლარი. ამდენად, აღნიშნული მასალები (ჯამური ღირებულება) გადიდებული თანხითაა ნაჩვენები შესრულებაში 4,1 ათასი ლარის ოდენობით, ბრძანების შეაბამისად მას უნდა ანაზღაურებოდა მხოლოდ ფაქტობრივი ხარჯები.
- II. შპს „კასპის საგზაო“ წარმოადგინა გაწეული ფაქტობრივი ხარჯების ამსახველი დოკუმენტების დამოწმებული ასლები⁶³, რომლის შესწავლით დადგინდა:
- არ არის წარმოდგენილი ტრანსპორტის ხარჯების გაწევის დოკუმენტები, სულ, თანხით - 7,9 ათასი ლარი.
 - ხელფასის ხარჯი ნაჩვენებია 6,5 ათასი ლარი, წარმოდგენილია 4,3 ათასი ლარის (დარიცხული).
 - მასალების ხარჯვაში 688 მ³ ქვიშა-ხრეშოვანი ბალასტი ნაჩვენებია 1 მ³ -3 ლარი, ფაქტობრივად შეძენილია 2 ლარად, დარიცხვებით ზედმეტადაა ნაჩვენები 1,0 ათასი ლარი. რკინის მილი დ-426 მმ შესრულებაში ნაჩვენებია 1 გრძ.მეტრი 80 ლარად, შეძენილია 100 ლარად, ნაკლებია ნაჩვენები 0,6 ათასი ლარი.

შპს-ის დაფუძნება, დაფინანსება, შესრულებული სამუშაოები და მასზე კონტროლი შპს „კასპის კეთილმოწყობა“

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2007 წელს დაფუძნებულია შპს „კასპის კეთილმოწყობა“, რომლის საქმიანობას წესდების მიხედვით, წარმოადგენდა კასპის ცენტრალური ქუჩების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება და გატანა, გარე განათების, სოფლის პროგრამების (სასმელი წყლის

⁶³ 2012 წლის 30 ივლისის №139 ხელშეკრულება თანხით 29.2 ათასი ლარი

მიწოდების მოწესრიგება, სარიტუალო სახლების რეაბილიტაცია) და სხვადასხვა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმოება. შპს-ის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა 251,1 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც მუნიციპალიტეტიდან დაფუძნებისას გადაცემული ქონების ღირებულებაა (სხვადასხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები).

მუნიციპალიტეტს სხვადასხვა სამუშაოს შესყიდვაზე 2010 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 ივნისამდე პერიოდში, შპს „კასპის კეთილმოწყობასთან“ გაფორმებული აქვს 66 ხელშეკრულება, მათ შორის, გამარტივებული შესყიდვით - 39, ელექტრონული ტენდერით - 11, გამარტივებული ელექტრონულ ტენდერით კი -15. სულ შპს-ს აუნაზღაურდა 2408,9 ათასი ლარის მომსახურებისა და სამუშაოს ღირებულება.

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტისათვის ცნობილი იყო, შპს „კასპის კეთილმოწყობის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფინანსური და მატერიალური რესურსები, მასთან სხვადასხვა სამუშაოს შესრულებაზე ერთდროულად ფორმდებოდა რამდენიმე ხელშეკრულება. აღნიშნულის გამო, შპს ხშირად ვერ ახერხებდა სამუშაოების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში დამთავრებას და ხდებოდა ვადის გაგრძელება. ვადის გადაწევა ძირითადად დაუსაბუთებელია (მიზეზად მოყვანილია მასალების უქონლობა, უამინდობა)⁶⁴.

სამუშაოების დამთავრების ვადის გადაწევის მიუხედავად, შპს „კასპის კეთილმოწყობა“ ვერ ახერხებდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და მუნიციპალიტეტისაგან დაჯარიმებულია 2010 წელს -2,1 ათასი ლარით, 2011 წელს - 16,0 ათასი ლარით, 2012 წელს -7,2 ათასი ლარით (საჯარიმო თანხა გადახდილია).

შპს-ის საქმიანობას 2013 წლის იანვრიდან სწავლობს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური. შპს-დან სრულად ამოღებულია საფინანსო დოკუმენტაცია. საგადასახადო შემოწმებით დადგენილია სალაროში 115,8 ათასი ლარის დანაკლისი, ხოლო 367,8 ათასი ლარი ნაშთად აწერია ანგარიშვალდებულ პირებს.

⁶⁴ 2010 წელს 4 ხელშეკრულების (სახელშეკრულებო ღირებულება 207 ათასი ლარი) ვადა საერთო ჯამში გადაწეულია 6-ჯერ; 2011 წელს 5 ხელშეკრულების (სახელშეკრულებო ღირებულება 354 ათასი ლარი) ვადა გადაწეულია 8-ჯერ; 2012 წელს 2 ხელშეკრულების (სახელშეკრულებო ღირებულება 352 ათასი ლარი) კი, 6-ჯერ.

საგადასახადო შემოწმებით, შპს-ს დამატებით სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელად დაერიცხა 277,9 ათასი ლარი. აღნიშნული შემოწმებით დადგინდა, რომ 2009-2011 წლებში შპს „კასპის კეთილმოწყობამ“ წმინდა გაუნაწილებელი მოგების სახით მიიღო თითქმის 200 ათასი ლარი, რომლის განაწილების საკითხი უნდა გადაეწყვიტა მუნიციპალიტეტს.

შპს-ის წესდებით, დამფუძნებლის უფლებაში შედიოდა საზოგადოების კონტროლი, მათ შორის, სამეურნეო საქმიანობის შემოწმება, კვარტალური და წლიური ბალანსების განხილვა, მიღებული მოგების განაწილება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დირექტორის დანიშვნა, ქონების განკარგვა და სხვ. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საწარმოს პარტნიორის უფლება-მოვალეობათა განხორციელება გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურს ევალებოდა⁶⁵.

მუნიციპალიტეტის მხრიდან შპს „კასპის კეთილმოწყობის“ საქმიანობის კონტროლი განხორციელებული არ არის⁶⁶, კერძოდ: არ არის შემუშავებული და მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული საწარმოს განვითარების ბიზნესგეგმები; აუდიტის⁶⁷ მიერ არ ჩატარებულა შპს-ის სამეურნეო საქმიანობის შემოწმება; არაა მოსმენილი და დამტკიცებული დირექტორის ანგარიშები; არ განხილულა კვარტალური და წლიური ბალანსები და სხვ⁶⁸.

მუნიციპალიტეტის კონტროლი შემოიფარგლებოდა შპს-ში დირექტორის დანიშვნითა და განთავისუფლებით, მაშინ როდესაც თვითონ უკვეთავდა და ასრულებინებდა მილიონობით ლარის სამუშაოს, მუნიციპალიტეტი (საკრებულო, გამგეობა) არ დაინტერესებულა მის მიერ დაფუძნებული საწარმო როგორ ამთავრებდა საფინანსო წელს და როგორ იყენებდა მიღებულ დაფინანსებას.

⁶⁵ კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 9 სექტემბრის №16 დადგენილებით დამტკიცებული „კასპის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების“ მესამე მუხლი.

⁶⁶ ვერ იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტი.

⁶⁷ მუნიციპალიტეტის არჩეული.

⁶⁸ მუნიციპალიტეტის მიერ საქმიანობის კონტროლი არ განხორციელებულა აგრეთვე მის მიერ დაფუძნებულ შპს „ახალი განთიადის“ მიმართ.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხების ხაზგასმა

არასათანადოდ დასაბუთებული ხარჯები

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მორწყვის ღონისძიებები:

I. თეზი-ოკამის სარწყავი არხის ფუნქციონირებისათვის სატუმბი სადგურების ხარჯი

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან⁶⁹ თეზი-ოკამის სარწყავი არხის ფუნქციონირებისათვის სატუმბი სადგურებისათვის საჭირო ელექტროენერგიის ხარჯის დაფინანსების მიზნით, 2011 წელს კასპის მუნიციპალიტეტისათვის გამოიყო 80 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტსა და შპს „მტკვარი-მ“-ს შორის გაფორმდა⁷⁰ ორი ხელშეკრულება, სოფელ თვაურების ტერიტორიაზე მდებარე სატუმბი სადგურის მეშვეობით თეზი-ოკამის მაგისტრალურ არხში სარწყავი წყლის გადატუმბვის უზრუნველსაყოფად.

პირველი ხელშეკრულება №123/1 დაიდო 2011 წლის 22 სექტემბერს, ხოლო მეორე ხელშეკრულება №138/1 გაფორმებულია 4 ნოემბერს. მომსახურების სავარაუდო ღირებულებამ მთლიანად შეადგინა 80 ათასი ლარი. ხელშეკრულებებში მითითებული არ არის რომელ სოფლებში რა რაოდენობის ფართობი უნდა მორწყულიყო, რა პერიოდულობით და ვის უნდა დაედასტურებინა გაწეული მომსახურება. ინსპექტირება დამკვეთის მხრიდან უნდა განეხორციელებინა გამგებლის მოადგილეს და შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულს. მომსახურების მიწოდების შემდგომ, მიმწოდებელი ვალდებული იყო წარმოედგინა ამონაწერი მრიცხველიდან დახარჯული ელექტროენერგიის ოდენობით და წერილობითი მოთხოვნა ანგარიშსწორებისათვის.

შპს „მტკვარი-მ“-ის მიერ ორივე ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებლად, წარმოდგენილია ენერგოკომპანიის მიერ ამოწერილი ელ.მრიცხველის ქვითრის ჩვენებები. შესწავლის შედეგად დადგინდა: 2011 წლის 26

⁶⁹ საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2011 წლის 1 სექტემბრის №415 და 11 ოქტომბრის №519 ბრძანებები.

⁷⁰ ექსკლუზივის გამო განხორციელდა გამარტივებული შესყიდვა.

აგვისტოს მდგომარეობით⁷¹ ელ.მრიცხველის ჩვენება ქვითრის მიხედვით იყო 2,09კვტ., ხოლო საბოლოო ანგარიშსწორებისას, 1 დეკემბრისათვის 387,89კვტ. შესაბამისად, აღნიშნულ პერიოდში მოხმარებული ელ. ენერგიის ღირებულებამ შეადგინა 68,1 ათასი ლარი⁷².

შპს „მტკვარი-მ“- ს სულ, ორივე ხელშეკრულებით ჩაერიცხა 79,5 ათასი ლარი, ანუ ელ.მრიცხველის ქვითრის ჩვენებების მიხედვით გახარჯული ელ.ენერგიის ღირებულებაზე 11,4 ათასი ლარით მეტი. დაუსაბუთებლად ანაზღაურებულ ამ თანხაში შედის ელ.ენერგიის მრიცხველის ქვითარში ნაჩვენები „კორექცია/აქტის“ საფუძველზე დამატებით დარიცხული თანხა 4,9 ათასი ლარი. იმ ელ.მრიცხველის შესახებ, საიდანაც ჩვენებებს იღებდნენ, მისი დაზიანების ან შეცვლის შესახებ დოკუმენტაცია წარმოდგენილი არ არის. ამდენად, გაურკვეველია რამ გამოიწვია ჩვენების კორექტირება და დამატებით 6,5 ათასი ლარი⁷³ რა მომსახურების თანხა გადაიხადა მუნიციპალიტეტმა.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 2012 წელს მუნიციპალიტეტს გამოეყო 390 ათასი ლარი⁷⁴, თეზი-ოკამის სარწყავი არხის და ქვახვრელის სატუმბი სადგურის ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დასაფინანსებლად. აღნიშნული თანხით, 4 მაისს შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიასთან“ გაფორმდა ხელშეკრულება(N100) სოფელ თვაურების ტერიტორიაზე მდებარე სატუმბი სადგურის მეშვეობით თეზი-ოკამის მაგისტრალურ არხში სარწყავი წყლის გადატუმბის უზრუნველსაყოფად. გამოყოფილი თანხით უნდა მომხდარიყო სატუმბი სადგურის ფუნქციონირების პერიოდში მოხმარებული ელ.ენერგიის ღირებულების ანაზღაურება. სს „ენერგო-პრო ჯორჯიადან“ წარმოდგენილი ანგარიშფაქტურებისა და ელ.ენერგიის მომხმარებლის სააბონენტო ქვითრის შესაბამისად, შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიას“ აუნაზღაურდა მოხმარებული ელ.ენერგიის ხარჯი - 297,7 ათასი ლარი⁷⁵.

⁷¹ ანაზღაურებულია ხელშეკრულების გაფორმებამდე გახარჯულად ნაჩვენები ელ. ენერგიის ღირებულება.

⁷² $((387.89 - 2.09) \times \text{კოეფიციენტი } 1500) = 578700 \text{ კვტ.სთ. } \times \text{ ტარიფი } 0.117622 \text{ ლარი}$

⁷³ 11.4 ათას ლარს გამოკლებული 4.9 ათასი ლარი.

⁷⁴ 24 აპრილის №772 და 13 ივლისის №1378 მთავრობის განკარგულებები.

⁷⁵ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხიდან აუთვისებელი დარჩა 92.3 ათასი ლარი .

ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება უნდა განეხორციელებინათ მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეს და შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებს, მაგრამ მოხსენებით ბარათს გახარჯული ელ.ენერგიის ღირებულების შესახებ ხელს აწერენ მხოლოდ გამგებლის მოადგილე და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის თანამშრომლები. მომსახურების დასრულების ბოლოს, მუნიციპალიტეტის გამგებელთან გაფორმებული აქტით დადასტურებულია მთლიანად მოხმარებული ელ.ენერგიის ღირებულების რეალურობა.

აქტში ასევე მითითებულია, რომ სატუმბი სადგურიდან თეზი-ოკამის მაგისტრალურ არხში მიწოდებული სარწყავი წყლის მეშვეობით მოხდა სოფლების: თვაურების, ლამისყანის, თეზის, ოკამისა და იგოეთის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მორწყვა - მაისიდან ოქტომბრის ჩათვლით, მაგრამ რა მოცულობის წყალი მიეწოდა, როგორ მიმდინარეობდა სავარგულების მორწყვა, რა ინტენსივობითა და რა რაოდენობის ფართობებს შეეხო ეს მომსახურება, ამის შესახებ დოკუმენტები შედგენილი არ არის.

II. სარწყავი არხის თემის სატუმბი სადგურების ხარჯი

კასპის მუნიციპალიტეტის 4 სოფლის: დოესის, თელიანის, გრაკალისა და ხოვლეს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მორწყვას უზრუნველყოფს თემის მექანიკური სისტემის №1 და №6 სატუმბი სადგურები, საიდანაც წყლის მიწოდება ხორციელდება მაგისტრალური არხების მეშვეობით. მოხმარებული ელ. ენერგიის ასანაზღაურებლად საჭირო იყო ელ. ენერგიის მრიცხველიდან ამოწერილი მაჩვენებელი (ქვითარი) და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საგადასახადო ანგარიშფაქტურა. შესრულებულ მომსახურებაზე ფორმდებოდა მიღება-ჩაბარების აქტები, რომელთაც ადასტურებდნენ აგრეთვე ინსპექტირების ჯგუფის უფლებამოსილი წარმომადგენლები. ხელშეკრულებები მომწოდებელთან(შემსრულებელთან) ფორმდებოდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით(ექსკლუზივი). ხელშეკრულებებში მითითებულია მომსახურების პერიოდი, მაგრამ გაანგარიშებული და დასაბუთებული არ არის 1 ჰა

მიწის ფართობის მორწყვის საშუალო ღირებულება, სარწყავი წყლის მოცულობის ზღვრული ოდენობა, რომელიც გარემო პირობებიდან გამომდინარე, დამოკიდებული იქნებოდა მომსახურების ინტენსივობასა და მორწყვის ჯერადობაზე თვეების ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

2010 წლის 21 ივლისს ხელშეკრულება გაფორმდა შპს „მტკვარი-მ“-თან. მომსახურების თავდაპირველი ღირებულება იყო 100,7 ათასი ლარი, რომელიც შეთანხმებით გაიზარდა 122,7 ათას ლარამდე, სადაც ელ. ენერგიის ღირებულებისათვის გაითვალისწინეს 106,3 ათასი ლარი, ხოლო მომსახურებისათვის (1 ჰა-ზე 75 ლარი) -16,5 ათასი ლარი. მოსარწყავი ფართობების მთლიანმა ოდენობამ შეადგინა 220 ჰა. ანაზღაურებამ შეადგინა 119,8 ათასი ლარი (1 ჰა-544 ლარი), საიდანაც მოხმარებული ელ. ენერგიის ღირებულებაა 103,3 ათასი ლარი.

2011 წლის 28 ივნისს შპს „მტკვარი-მ“-თან გაფორმებული ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულებამ 200 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, არა უმეტეს 177,5 ათას ლარს, ელ.ენერგიის ღირებულება შეადგენდა. მოსარწყავი ფართობების მთლიანი ოდენობა გაიზარდა 300 ჰა-მდე. ანაზღაურებულია 189,9 ათასი ლარი (1ჰა-703 ლარი), მაგრამ მორწყვის გარეშე დარჩა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 30 ჰა მიწის ფართობი, მათ შორის, 15 ჰა - სოფელ თელიანში და 15 ჰა - სოფელ გრაკალში. აღნიშნულის მიზეზად მითითებულია შიდა სარწყავი არხების გაუმართაობა.

2012 წლის 7 მაისს №101 ხელშეკრულება გაფორმდა შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიასთან“. მოსარწყავი მიწის ფართობების რაოდენობა დარჩა 300 ჰა, ხოლო მომსახურების სავარაუდო ღირებულებამ ჯერ შეადგინა 200 ათასი ლარი, ხოლო შემდეგ გაიზარდა 310 ათას ლარამდე, სადაც ელ.ენერგიის ღირებულებისათვის გათვალისწინებული იყო არა უმეტეს 287,7 ათასი ლარი. საბოლოოდ, გაწეული მომსახურების მთლიანმა ღირებულებამ და ანაზღაურებამ 308,54 ათასი ლარი შეადგინა (1 ჰა-1028,4 ლარი), მათ შორის, ელ.ენერგიის ხარჯია 287,2 ათასი ლარი.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მორწყვაზე გაწეული ხარჯები შეადგენს:

(ათასი ლარი)

საანგარიშო პერიოდი	თემის სატუმბვი სადგურის ხარჯები				თეზი-ოკამის სარწყავი არხის ხარჯები		სულ ხარჯი
	მორწყული ფართი ჰა	გაწეული ხარჯი	მ.შ. ელ.ენერგიის ხარჯი	1 ჰა-ის ხარჯი (ლარებში)	მორწყული ფართი ჰა	გაწეული ხარჯი (ელ.ენერგია)	
2010 წელი	220	119,8	103,3	544	-	0	119,8
2011 წელი	270	189,9	168,6	703	მონაცემები არ არის	79,5	269,4
2012 წელი	300	308,5	287,2	1028,4	მონაცემები არ არის	297,7	606,2
სულ	790	618,2	544,8			377,2	995,4

ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ სამი წლის განმავლობაში 1 ჰა მიწის ფართობის მორწყვაზე გაწეული ხარჯები 544 ლარიდან გაიზარდა 1 028,5 ლარამდე (თითქმის ორჯერ). მომსახურების ფასი არ შეცვლილა, შეადგენდა 75 ლარს - 1 ჰექტარზე. ხარჯების მატების მიზეზი განპირობებულია მოხმარებული ელ.ენერგიის რაოდენობის გაზრდით, რომლის ხარჯის ზრდაც მორწყვის ინტენსივობამ (ჯერადობის ზრდამ) გამოიწვია თუ ელექტროენერგიის არარაციონალურმა ხარჯვამ, აღრიცხვის უქონლობის გამო ვერ დადგინდა.

2010-2012 წლებში თეზი-ოკამის მაგისტრალურ არხში სარწყავი წყლის გადატუმბვის, აგრეთვე სოფლების - დოესის, თელიანის, გრაკალისა და ხოვლეს სარწყავი არხის წყლის მიწოდების ხარჯების რეალობის დადგენა შესაძლებელი იქნება შესაბამის მომსახურე ორგანიზაციებში⁷⁶, აუდიტის ჩატარების გზით.

შპს „ლეგეს“ მიერ შესრულებული გადახურვითი სამუშაო

2011 წლის 28 აპრილს კასპის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი (SPA110011866) ქალაქ კასპში მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინების სახურავების მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოებზე, შესყიდვის

⁷⁶ შპს „მტკვარი-მ“ და შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელოორაციო სისტემების კომპანია“.

სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 257,8 ათას ლარს. ტენდერში ვაჭრობის შემდგომ გაიმარჯვა შპს „ლეზე“-მ⁷⁷, თანხით 222,0 ათასი ლარი. 2011 წლის 1 ივლისს გაფორმდა №69 ხელშეკრულება სამუშაოების შესრულებაზე.

შპს „ლეზეს“ მიერ ქალაქ კასპში, ჭავჭავაძის ქუჩა №25-ში მდებარე საცხოვრებელი შენობის სახურავის კაპიტალური შეკეთების წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვისა და შესრულებული სამუშაოს აქტის შესწავლით დადგინდა: 0,7 მმ სისქის 309 მ² პროფენელის დაკვრა-დაშურუფებაზე ხელფასის სახით გაწერილია 1 112 ლარი, ხოლო „შურუფი ბოლომდე ხრახნით 70 მმ“, ნაჩვენებია როგორც მასალა⁷⁸, აგრეთვე მასზე კვლავ გაწერილია ხელფასი ერთეულზე 6 ლარი, ე.ი. 1 236 შურუფის დაჭერა დაჯდა 7,4 ათასი ლარი, დარიცხვების გათვალისწინებით 9,5 ათასი ლარი. ამდენად, ერთი და იგივე სამუშაოს შესრულება (პროფენელის დაკვრა-დაშურუფება) ხარჯთაღრიცხვით სავარაუდოდ ორჯერ არის გათვალისწინებული და შესაბამისად ანაზღაურებული, ჯამში 10,9 ათასი ლარი⁷⁹.

2012 წელს მომხდარი სტიქია

მუნიციპალიტეტში 2012 წლის 31 მაისს მომხდარი სტიქიის (სეტყვა) შედეგად დაზარალდა 25 სოფლის მოსახლეობა. დაზარალებულმოსახლეობის დახმარებისათვის საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2012 წლის 24 სექტემბრის №1296 ბრძანებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 380,0 ათასი ლარი. გამოყოფილი თანხა მიმართულია მოსახლეობისათვის სურსათის (1 ტომარა ფქვილი, 5 კგ შაქარი და 1,5 ლ ზეთი) დასარიგებლად.

პროდუქტების შესყიდვასთან დაკავშირებით, 2012 წლის 24 სექტემბერს სამ მიმწოდებელთან გაფორმდა ხელშეკრულება⁸⁰, რომელთაც ფქვილის, შაქრისა და ზეთის მიწოდება დაწყებული აქვთ 2012 წლის 23 სექტემბერს, ხელშეკრულების გაფორმებამდე ერთი დღით ადრე.

⁷⁷ ვაჭრობაში მონაწილეობდა შპს „ლეზე“ და სს „თბილისის მონოლითმშენი“.

⁷⁸ 1236 ცალი, ერთი ცალის ღირებულება - 0.1 ლარი, სულ: 123.6 ლარი.

⁷⁹ 1112 ლარი, დარიცხვებით შეადგენს 1427 ლარს, ემატება 9500 ლარი.

⁸⁰ №161 ხელშეკრულება შპს „აგროსისტემებთან“ - ფქვილის, №163 ხელშეკრულება შპს „აგარის შაქრის კომპანიასთან“ - შაქრისა და №162 ხელშეკრულება შპს „მზიურთან“ - ზეთის მიწოდებაზე.

პროდუქტების განაწილებაზე ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებს წარმოდგენილი აქვთ უწყისები განაწილებული პროდუქტების რაოდენობის მითითებით. აგრეთვე აღნიშნულია დახმარების მიმღების სახელი, გვარი, პირადი ნომერი და ხელმოწერები, მაგრამ დახმარების გაცემის თარიღი ნაჩვენებია არ არის. ამდენად, ვერ დადგინდა რა პერიოდში მიმდინარეობდა დახმარების დარიგება.

აღრიცხვა - ანგარიშგების ნაკლოვანებები:

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ შესრულებული და აღურიცხავი სამუშაოები

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ საინვესტიციო დაფინანსების გზით ქ. კასპში განხორციელდა სხვადასხვა ქუჩების რეაბილიტაცია (სანიაღვრე არხების, საყრდენი კედლისა და ასფალტობეტონის საფარის მოწყობა), აღნიშნული ქუჩები წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკუთრებას. პროექტების ღირებულების 15%-ის თანადაფინანსება - 324,9 ათასი ლარით⁸¹, განახორციელა მუნიციპალიტეტმა, საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულება კი ვერ იქნა წარმოდგენილი.

აღნიშნული სამუშაოების წინასწარი მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია 2011 წლის 24 აგვისტოს. პროექტის რეალური ღირებულება მითითებულია 2192,2 ათასი ლარი. აქტს ხელს აწერს სამი მხარე: მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენელი, სამუშაოების შემსრულებელი⁸² და კასპის მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, ხოლო გრაფა „ორგანიზაცია, რომლის ბალანსზეც ირიცხება ობიექტი“, ხელმოწერილია კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლის მიერ.

მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ქ. კასპის ქუჩებზე შესრულებული რეაბილიტაციის სამუშაოებით, არ არის გაზრდილი მუნიციპალიტეტის ქონების, ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულება, ამდენად, არ შესრულებულა

⁸¹ 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით მიღებული და გადარიცხულია მუნიციპალური განვითარების ფონდში 324.9 ათასი ლარი.

⁸² შპს „აი-ეს-პი ფაუნდეიშენი“ და შპს „ბელდ ინვესტი“.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 25-ე მუხლის მოთხოვნა.

შეძენილი მასალების ხარჯვა და აღრიცხვა

2010-2012 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის სოფლებში გაზიფიცირებისათვის შეძენილია პოლიეთილენის მილები, მრიცხველები და კორექტორები, აგრეთვე წყლის სისტემის რეაბილიტაციისათვის მილები და სხვადასხვა მასალები. შეძენილი მასალები 154,1 ათასი ლარის⁸³ ღირებულებისაა, საიდანაც: ძირითად აქტივებში ირიცხება 65,7 ათასი ლარის, სხვა მცირეფასიან აქტივებში - 29,0 ათასი ლარის, ხოლო ხარჯებში ჩამოწერილია 58,3 ათასი ლარის მასალა. საფინანსო სამსახურის მიერ ხარჯებში ჩამოწერილი მასალები არ არის აღრიცხული ბალანსგარეშე საცნობარო ანგარიშზე. ამდენად, არ არის აღრიცხული თითოეული მატერიალური პასუხისმგებელი პირის მიხედვით მიღებული და ჩამოწერილი მატერიალური ფასეულობები.

მიღებული და ხარჯებში ჩამოწერილი მილების ნაწილი მოხმარდა სოფლების გაზიფიცირებასა და წყლის სისტემის რეაბილიტაციას, ხოლო ნაწილი გაუხარჯავია და ინახება სხვადასხვა ადგილას, რომელსაც ადასტურებს შემდეგი ფაქტი: შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ 2013 წლის 18 მარტის წერილით ირკვევა, რომ მის საკუთრებაში არსებულ („იგოეთჰესის“) ტერიტორიაზე დასაწყობებულია 1482 გრძ. მეტრის პოლიეთილენის მილები. შპს მუნიციპალიტეტიდან ითხოვდა საკუთრების დადასტურებას და ხელშეკრულების გაფორმებას ფასეულობის შენახვაზე. გამგეობა 2013 წლის 1 აპრილის №2/570 წერილით მილების თავის საკუთრებაში არსებობას ადასტურებს.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში შეძენილი მასალების ჩამოწერა უნდა მოხდეს ხარჯვის დოკუმენტების (შესრულებული სამუშაოების აქტების)

⁸³ 2010 წელს - 38,6 ათასი ლარი, 2011 წელს - 46,4 ათასი ლარი, 2012 წელს - 69,2 ათასი ლარი.

საფუძველზე. დარჩენილი ნაშთების ინვენტარიზაციის შედეგომ, მასალები აღირიცხოს დადგენილი წესით ბალანსგარეშე, საცნობარო მუხლში.

ხანდაზმული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები

2013 წლის 1 ივნისისათვის მუნიციპალიტეტში ირიცხება ხანდაზმული (3 წელზე მეტი ხნის) დებიტორული დავალიანებები: მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის კასპის სამმართველო - 15,0 ათასი ლარი, წარმოშობილი 2003 წელს (დავალიანების წარმოშობის მიზეზი უცნობია); ინდემწარმე „გიორგი კვენეტაძე“ 2007 წლის საახალწლო ღონისძიების ჩასატარებლად ჩარიცხული თანხით - 15,8 ათასი ლარი. საფინანსო სამსახურის უფროსის განმარტებით, „ინდ/მეწარმე „გიორგი კვენეტაძე“ საახალწლო კონცერტი ჩაატარა, მაგრამ მიღება-ჩაბარების აქტი ვერ გაფორმდა“. დებიტორულ დავალიანებებში ირიცხება აგრეთვე სამთავისისა და გორის ეპარქიისთვის ჩარიცხული სუბსიდია 30,0 ათასი ლარი, რომელიც არ არის ჩამოწერილი ხარჯებში.

კრედიტორულ დავალიანებებში 7 სხვადასხვა მიმწოდებელი ირიცხება 16,1 ათასი ლარის ოდენობით⁸⁴, მათ შორის: შპს „წყალკანალი“- 9,8 ათასი ლარით, რომლის დავალიანების წარმოშობის მიზეზი და თარიღი უცნობია.

მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის მიერ დებიტორ-კრედიტორების რეალობის დადგენის მიზნით, არ განხორციელდა შედარებები, საქმეები შემდეგი შესწავლის, სამართლებრივი შეფასებისა და რეაგირებისათვის არ არის გადაცემული გამგეობის შესაბამის სამსახურზე.

გაცემული პრემიები

კასპის გამგეობაში საშტატო რიცხოვნება 2010 წლიდან 2013 წლამდე გაზრდილია 29 ერთეულით. შტატების ზრდა ძირითადად გამოწვეულია: გამგეობაში ახალი

⁸⁴ შპს „წყალკანალი“ - 9.8 ათასი ლარი; შპს „კასპის კეთილმოწყობა“ - 2.3 ათასი ლარი; შპს „კომუნა“ - 2.3 ათასი ლარი; შპს „სინათლე“ - 1.4 ათასი ლარი; „კასპი გაზი“ - 1.0 ათასი ლარი; სს „გაერთიანებული სადისტ.ელ კომპანია“ - 0.3 ათასი ლარი; კასპის სახ. არქივი - 0.1 ათასი ლარი.

სამსახურებისა და განყოფილებების ჩამოყალიბებით⁸⁵, აგრეთვე ზოგიერთ სამსახურში შტატების ზრდით⁸⁶. საშტატო რიცხოვნობა იზრდებოდა მაშინ, როდესაც მუნიციპალიტეტში მუდმივად იყო ვაკანსიები: 2010 წელს - 6 საშტატო ერთეული, 2011 წელს - 10 საშტატო ერთეული, 2012 წელს - 11 საშტატო ერთეული. შესაბამისად, ეკონომია ხელფასის ფონდში დაახლოებით შეადგენდა: 2010 წელს - 30 ათას ლარს, 2011 წელს - 52 ათას ლარს, 2012 წელს - 55 ათას ლარს.

საშტატო რიცხოვნობის ზრდის შესაბამისად, 2010 - 2013 წლებში, ასევე გაზრდილია შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეული ხარჯები: 2010 წელს გახარჯულია - 840,3 ათასი ლარი, 2011 წელს - 1052,2 ათასი ლარი, ხოლო 2012 წელს - 1439,6 ათასი ლარი.

შრომის ანაზღაურების მუხლიდან წახალისების სახით სულ გაცემულია 1 340.0 ათასი ლარი, რომელიც შრომის ანაზღაურების მუხლით გაცემული თანხის 32%-ს შეადგენს. 2010 წელს გაცემულია 2 თვის პრემია, სულ თანხით - 123,6 ათასი ლარი. 2011 წელს პრემიები ძირითადად (თანამშრომელთა უმეტესობაზე) გაცემულია 5 თვის, ხოლო საკრებულოს თავჯდომარეს, მის მოადგილეს, გამგებელსა და მის მოადგილეზე გაცემულია 13 თვის პრემია (დეკემბრის თვეში გაცემულია 2-ჯერ) - სულ გაცემულია 346,7 ათასი ლარი. 2012 წელსაც ანალოგიური სიტუაციაა: ძირითადად გაცემულია 6 თვის, ხოლო ხელმძღვანელებზე - 13 თვის პრემია, სულ გაცემულია 553,8 ათასი ლარი. 2012 წელს მუნიციპალიტეტის გამგებელს მიღებული აქვს პრემია - 28,7 ათასი ლარი⁸⁷, ხოლო საკრებულოს თავმჯდომარეს - 34,1 ათასი ლარი⁸⁸. 2013 წლის 5 თვეში გაცემულია 3 თვის პრემია (ხელმძღვანელ მუშაკებზე - 2 თვის) თანხით - 315,8 ათასი ლარი.

საკრებულოს მიერ წახალისების (პრემია, ჯილდო) გაცემასთან დაკავშირებით დებულება შემუშავებული არ არის. წახალისებები გაცემულია საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, როგორც საკრებულოსა და გამგეობის შტატში რიცხულ, აგრეთვე შტატგარეშე (ხელშეკრულებით აყვანილ) თანამშრომლებზე. საჯარო

⁸⁵ ზედამხედველობის სამსახური 5 შტატით, მშენებლობისა და არქიტექტურის სამსახური- 5 შტატით, იურიდიული სამსახური 3 შტატით, შესყიდვების განყოფილება 3 შტატით, სოფლის მეურნეობის განყოფილება-3 შტატით

⁸⁶ სახანძრო-სამაშველო სამსახური-6 შტატით, ადმინისტრაციული სამსახური 3 შტატით

⁸⁷ გამგებელი - ხაჩირიშვილი კახაბერი, მიღებული აქვს 12 თვის პრემია

⁸⁸ საკრებულოს თავმჯდომარე - მესროფაშვილი დავითი, მიღებული აქვს 13 თვის პრემია

მოსამსახურეთა და დამხმარე მუშაკთა წახალისების საფუძვლად მოყვანილია: „სამსახურებრივი მოვალეობის აქტიური ან სანიმუშო შესრულება“, აგრეთვე 3 და 8 მარტის, აღდგომის, მარიამობის, გიორგობისა და საახალწლო დღესასწაულები. პრემიები 2011 და 2012 წლის ბოლოს, დეკემბრის თვეში გაცემულია ორჯერ, წახალისების საფუძველში ერთ შემთხვევაში მინიშნებულია საახალწლო დღესასწაული, ხოლო მეორე შემთხვევაში - „ბიუჯეტის ჭარბი შემოსავლების გამო დამატებით გაიცეს ერთი თვის ხელფასი“. დაკონკრეტებული არ არის რომელ გადასახადშია მიღებული ჭარბი შემოსავლები, რა რაოდენობით, ვისი მეშვეობით და ა.შ.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების“ საკითხების შესაძლო გავლენისა, კასპის მუნიციპალიტეტის საქმიანობა 2010 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 ივნისამდე პერიოდში ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, განხორციელებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უფროსი აუდიტორი:
ზურაბ ქათამაძე



ხელმოწერა 11.12.2013 თარიღი

უფროსი აუდიტორი:
გიორგი ჩახვაძე



ხელმოწერა 11.12.2013 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:
ზურაბ ზუმბაძე



ხელმოწერა 11.12.2013 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:
ბარამ ონიანი



ხელმოწერა 11.12.2013 თარიღი

აუდიტორ-ასისტენტი:
გიორგი ბუკია



ხელმოწერა 11.12.2013 თარიღი